


ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ

ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ
ପ୍ରକାଶନ ପରିବାର



Gandharva

I სურათი	114
II მელა. ლექსი. შ. მდგომარეობა	115
III მეგობრის განთავისუფლება. შ—ს	117
IV ორმის ნახტომი. ზღაპარი დ. ნ როდსტოფის თარგმანი ტასთხით	118
V მარტი ლექსი ას.—ჩემი შეცვლისა	120
VI დატუსალებული ბულბული, დადო გებრეკორისა . .	121
VII ჯეჯილს. ლექსი ბ. გელასი	127
XIII ქადა—ნორვეგიული ზღაპარი ასტერნსონისა თარგმ. ას. წერეთლისა	129
IX ჭია მაია იფანე კლიაშვილისა	135
X წვერილმანი: გამოცანები, შარადა, სახუმძარო გასარ- თობი	138
XI ჯეჯილის იუბილეი ქუთაისში და ლექსები	140
<hr/>	
XII გაზაფხულის პირი დ. თურდისპირელისა	144
XIII ობოლი ლექსი დაცთ გებრეკორისა	150
XIV საწყალი ნონია, (დასასრულო) ექ. გაბაშვილისა . .	151
XV ტყე ცხელ ქვეყნებში. ად. ჭიჭინაძისა	157
XVI მეგობარი „გოშია“ მოთხ. ვილენბრუნისა თარგ. ქრ. ფ—სი	161
XVII სხვა და სხვა ამბები	167
XVIII საქართველოს ისტორია შედგენილი ს. გორგაძისაგან	17

მიიღება წელის მოწერა

**1910 წლის
„სისილზე“**


საუმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

იზარდე მწვანე ჯეჯილო,
დაპურდი, განდი ყანაო!..
ი. ღ.

შარტი, 1910

◆ წელიწადი მეოცდაერთე ◆

თ ფ ი ღ ი ს ი
ელექტრომბეჭდავი ამს. „შრომა“, რუსსკაია ქუჩა, № 3.
1910



ନାହାରିଲେ ରୋଚ୍ଛେଷ୍ଟରିଙ୍ଗିଟ ଓ ଅମ୍ବାଙ୍ଗି ରୋମିଟିର୍ଜିଟ.

მ ე ლ კ.



აქათმეში შეეჩვიდა
თურმე ერთი დიდი მელა,
დედლები და ჰვინჩილები
ჩუმად ზიდა ნელა..ნელა.

* *

არც ვარიებს იწუნებდა
ჭროლა იუო თუ ეელ-ჭრელა;
გამხდარი და ჩამწეული
ერთი იუო მისთვის ეპელა.

* *

ვერ შეუტყებს ვერაფერი,
საქმე ისე გააძნელა;
მაძინ გადგა მელა განჭე
როცა ქონი გაისქელა.

* *

ეველა იმას იმასოდა:
დამღუპველი არის მერა.
მინაურმაც, გარეულმაც
მართლა აკი დაიჯერა!!

*

მერას თოვი დაუმზადეს,
იცინოდა ცრუპენტელა:

ଗିନ୍ଦା କୁଳାଙ୍ଗେନ୍ କୁଳାଙ୍ଗେନ୍,
ଗନ୍ଧା ବିନ୍ଦୁ ମାଲାକ୍ଷେ ଦନ୍ତାଙ୍ଗା?!

* * *

ଶ୍ରୀକୃଷ୍ଣଙ୍କ ହିନ୍ଦିମା,
ଫଳିଯାର୍ଥୀଙ୍କ ହିନ୍ଦିକୁଳା...
ମେରେ ମରକୁଳାଙ୍କ ଉଦ୍‌ଦେଶ୍ୟ,
ଦାର୍ଶକ ଜୀବନ ମେଳା.

୪. ମନ୍ଦିରମେଲା.



ქართველის განთავისუფლება.



ილიკზე რამდე-
ნიმე ჭიანჭველა მიცო-
ცავდა. კაცმა ერთ ჭი-
ანჭველას ზევიდან თიხის ნა-
წერი დაბდო, ისე კი, რომ ჭიან-
ჭველას თუმცა თავი უჩანდა, მა-
გრა გამოცოცება კი არ შეეძ-
ლო. ბევრმა ჭიანჭველებმა გა-
უარეს გვერდით და კი ვერ შეამნიეს რა განსაცდე-
ლიმი იუთ მათი მეგობარი. ბოლოს ერთმა ჭიანჭველ-
ამ დაინახა, მიცოცდა მასთან და მოისურვა თიხის
გადაგორება, მაგრამ ჯერ შესძლო, მაღა არა-ჭიანდა.
მამინ საჩქაროთ წავიდა და მოიუვანა ოციოდე სხვა
ჭიანჭველები. ამ ჭიანჭველებმა კოტ-ცოტა ჩამოაცა-
ლეს თიხა და გაანთავისუფლეს თავიანთი მეგობარი.



„ირმის ნახტომი“

ზ ღ ა პ ა რ ი *)


 რთხელ, დიდი ხანია მას აქვთ, დედამიწაზე
 დადგა გვალვა: მდინარები, წეაროები, ჰეები
 გამრა; ხეები, ბუჩქარები, ბაღაბები—სულ გახმა.
 წუშრვილით იხოცებოდენ ადამიანებიც და ცხოველებიც.
 ერთ საღამო ჟამს, ჰატარა გოგონა ხის ჯამით
 ხელში გამოვიდა სახლიდან, ავათშეოფი დედისთვის
 უნდა ეძოვნა დასალევი წეალი. ეძაწვილმა წეალი ვე-
 რსად ვერ იძოვა, დაღალული გაწვა მინდორში ბა-
 ლაბზე და ჩაეძინა. როდესაც გამოედვიძა და ჯამს
 ჩელი მოჰკიდა—წეალი კინაღამ დააგცია. ჯამი სავსე
 იქო სუფთა, ანგარა წელით. ეძაწვილს გაესარდა, უნდა
 დაელია, მაგრამ მოაგონდა, რომ დედას არ ეუოფა და
 ჯამით ხელში გაიქცა სახლისაკენ. გოგონა სახლში

*) ეს ზღაპარი კოფისისაა ლ. ნ. ტოლსტოისაგან გადმოღებულია-
 და სახელათ ჰქონან „Большая медведица“.

დაბრუნებას ისე ჩქარობდა, რომ ვერ შეამჩნია კორომითა გორ ფეხქეუშ ებლანდებოდა პატარა მაღლი. ბავშვი წაიძორობიკა და ჯამი სელიდან გაუგარდა. მაღლმა წმუქუნი დაიწეო.

ემაწვილმა სტაცია ჯამს სელი. ის დარწმუნებული იქო, რომ წებლი დაიგვა. მაგრამ წებლი ჯამში ისევ ისე სელუხლებლათ იდგა. ემაწვილმა სელის გულზე და ისხა წებლი და გაუძვირა მაღლს, იმან ერთ წამს ას-ლაპა წებლი და გამხიბრულდა. როდესაც გოგონაშ ხელ ახლათ მოჰყიდა ჯამს სელი—სის ჯამი უცბათ გერცხლის ჯამათ გადიქცა.

გოგონაშ მოიტანა ჯამი სახლში და ღედას შია-წოდა. ღედამ უთხრა: მე მაინც ადარა მემველებარა, მოსაკვდომი ვარ, სჯობია შენ თვითონ დალიო. და ჯამი ემაწველს არ გამოარიგა. იმავ წამს გერცხლის ჯამი ოქროს ჯამათ გარდაიქცა.

გოგონა გადებოდა წეურვილით და ის იქო ჯამი პირთან მიირანა, რომ კარი გაიღო და შემოვიდა ვინ-მე მწირი და სთხოვა წებლი. გოგონამ თვითონ ნე-რწევი გადაედასა და მწირს ჯამით წებლი მიაწოდა. უცბათ ჯამზე გაჩნდა შვიდი დიდი მეტოული თვალი და იქიდან გადმისეთქა ან კარ სულთა წებლმა.

შვიდი მეტოული თვალი კი სულ მაღლა, მაღლა წა-ვიდა და ცაზე გადიგცა „ირმის ნახტომი“ ვარსკვლავათ.

გ ა რ ტ ი

მარტი დაღვა, გაზაფხულდა
და ბუნება შეიცვალა,
ჩიტქა, გვრიტქა, ჩიტუნებქა
კველამ ფერი შეიცვალა.

კველა ერთობ აირაცა
მუშაობის განახლებამ:
ხტუნგა, ცმებება და გალობა
ისმის ერთობ კველა მხრიდან.

ტქმებ კოქორი გაიშალა
და მინდორი მთლად ამწვანდა,
და ჯეკილიც ხასხას ფრიდა
საამურად აბიბინდა.

ას. ჩეკურაშვილი,



დაზუსაღებული გულგული

(გუძღვი გაბა რცხ—ს).

შატარა თინა მკვირცხლი და
 გამჭრიახი გოგონა იქო. სი-
 მარჯვები მას სხვა მისი ხნის
 ბაგმუხბი ვერც ერთი ვერ ჯო-
 ბნიდა. ჩვეულებად ჰქონდა ადრე გამოდვი-
 ძება. გამოდვიძებისათხავე ადგებოდა ლო-
 გინიდან, პირს დაიბანდა, ფეხსაცმელს
 გრიწმენდდა და ლამაზად გამოწუობილი
 მეისვე ქეთოსთან გაიჩევოდა, რომელიც
 სხვებზე უფრო უფარდა, სხვებზე უფრო
 პარგ და ქეთილ მეგობრად მიაჩნდა. ქე-
 თოც გამოწუობილი დახვდებოდა თავის
 მეგობარს თინას. თუმცა ბეჭრჯერ მომხ-
 დერა, რომ თინა მისულა ქეთოსთან და
 ქეთო-ბი ჯერ პარებ არ უოუილა ამდგა-
 რი; მაგრამ ასე იურ პირველ სანებში, სანამ ქეთო
 დაქვევოდა ადრე ადგომას.

*
**

ჩასიამოვნო დილა იუო. მხექი თგისი პირველი სხი-
 ვები შორს მთაში გადაეტეორწნა. ოდნავ ისმოდა მთა-
 დან გადმომსკდარის, მოჩუხჩუხე ნაკადულის ბუტბუ-
 ტი, ჩხრიალი. ჭავრი სამო სერწნელებათ იუო გა-
 ედენთილი. ძაშვი კისკისობდა, ბულბული სტეპება,
 მერცხსალი კიკჭიკობდა და უმანკო მტრედი თავის ჰა-
 ტარა სახლის მზგავს ხის ბუღამი ტკბილად ღუდუ-
 ნებდა!

ჰაწია თინას იდლიაში წიგნი ამოედო და, რა-
 დგანაც გაპპეტილი კარგად ჰქონდა დასწავლილი, მხი-
 არულად და სიმარჯვით გადაირბინა თავის სახლის
 ქზო და შეაღო ქეთოს ეზოს ჭიძეარი, რომ ჩვეულა-
 ბისამებრ ქეთო გამოემახნა და მასთან ერთად წასუ-
 ლიუო სასწავლებელში. როდესაც თინაშ ოდის აივან-
 ზე ფეხი შესდგა, მაძინვე შემოესმა გალიაში დატევე-
 ვებული ბულბულის სევდიანი გალობა; გალია აივ-
 ნის ბოლოს იუო ჩამოკიდული. თინა შეკრთა; მას
 ბევრჯერ ენახა ბულბული, ბევრჯერ გაეგონა მისი
 სან ტკბილი და ნაზი, სან სევდიანი და მწუხარე სიძ-
 ლერები, მაგრამ ამ დილით-კი ბულბულის სევდიანი
 სიძლერა ღრმად ჩასწვდა გულში; მიუხსლოვდა და
 დაუწეო ცქერა, თინა თვალს არ აშორებდა. იგი მას
 სან სიუვარულით და სან სიბრალულით შესცეროდა.
 ბულბულმა სიძლერა შესწევიტა და მიაჩერდა თინას.

— რად მიუწეო, ჩემი ჰაწიავ, ეგრე აჩემებულად,

— უთხრა ბულბულმა. — იქნებ გიკვირს, რომ შეაგრძნოთ სამარტინის დღიაში გარ დამწევდეული და ჩემი სიმღერის ხმა ამ პატია ეზოს ვერ გასცილებია და, მკალებურად არ გა. ისმის მთაში, ხევ-ხევში, კლდეში და ღრუში? მიტომ ვსტირი და მიტომ არის ჩემი სიმღერა სევდიანი, რომ მომისხეს თავისუფლება. შენ, ჩემი კარგი, სულ ჰაწია იუბვ და ის დღეები არ გეხსომება, როდესაც მა თავისუფლად შემეტლო ფრენა-ნაგარდი, სტანდა და ვალობა. სისარულით ვიგონებ იმ დღეებს. მასსოვს, როდესაც ჯერ კიდევ ახალ-გაზრდამ, თავისუფალმა, ლალმა და ნაზმა ჩიტუნამ, მთის მარტი ქორფად გამლიდი ვარდი დავინახე. მე იმას მთელი არსებით ვამკობდი ლუქსებით, ვუმდერდი, კუსტოვნდი და ჭედ დაგემუდი; თავს ვევლებოდი და მთელ ქმარას მერჩივნა ივი.

წარმოიდგინე ასეთი სურათი: დილაა, გაზაფხულის პირია და მცე ფართეთ ანათებს; იმ მთის მირში, რომელიც კენწეროზე თოვლით არის მოვენილი, ქორფად გამლიდა ვარდი, რომლის ნაზს ფოთლებს დილის ციური ცუარი და კურებია. გვერდით გლდეს, კლდის მირში ქიინარე დრიალით გარიბის: მეტოვარია, წინ ვერარა დაუდგება. მეც იმ მდინარესავით შეუპოვარი ვარ, თავისუფალი, ხელს არავინ მიმლის; სადაც მსურს იქ გავფრინდები, ვისაც მსურს იმას ვუმღერებ, სადაც მსურს იქ გავიჩენ ბინას, ვისაც მსურს ის მევვარება. აი, ვადმოვფრინდი მთიდან, მირს ჩამოვე-მვი, მიუახლოვდი ვარდს, რადგან მისმა სილამაზებ



ძომხიბლა. ოცნებამ მუისკე ფრთხები გამალა და ვპრეზიდენტის
ტექნიკურ დაგმდეურე. გარდა ნაცვლად ციური ცენტ-
რი მაპურა, გამიღიმა, უფრო გაიშალა, გალაბაზდა
და ექსით აიგო. მე ბედნიერად კოვლიდი თავს!

სხვა მხრითაც უკეთაურით უწრენებელ უოუილი
ვიუავი. მართლია, მდიდარი თავის დღემი არ ვუ-
ფრილებარ, მაგრამ არც დარიბი ვიუავი. ურცელია ეს
ქვეყნის: არ მაკლდა საჭმელ-სახმელი, არ მაკლდა ბი-
ნა და სახლ-ქარი. მაგრამ გაჭქრა ეს საამო დღეები,
გაჭქრა სისარული და გულში მის ნაცვლად სევდას
დაისადგურა. როგორ შევიძლო, ჩემი პარკო, გა-
ლიაში დატებებულმა, თავისუფლება მოკლებულმა,
სისარულის გამოჩენა? როგორ შევიძლო მეტებელიდ
მდერი, ტექნილად გალობა და გრძნობით სტკენა, თუ
თავისუფლი აღარ ვიქენი, თუ გარდთან არ ვიუავ
ახლო თუ მისი სისარულით არ ვიმსი არულე, თუ მის
ტანჯვით მეც არ დავიტანჯე?! დღეს მშვენიერი დღე
არის, გრილი. მე ამ ვიწრო გალიაში სული მესუ-
თება, სხვები-კი თავისუფლად დაჭრინავენ და მხია-
რულად მდერია. დახე, ჩემი მმა, ბულბული რა რიგ
ხევენს, თავის ვარდს დაჲეჭს. მას უძღეს, ეტოუია-
ლება; უკი დაუგდე მერცხლის ტექნილ ჭიკჭიკს. გა-
სმის მაძვის კისკისი? მე-კი, მე... რა დავაშავე, მე
არავინ მომიკლავს, ერთი ცუდი სიტემა არავისთვის
მითქმას, სხვისთვის ავი გულშიაც არ გამიტარებია,
ვაუავი ჩემთვის, სხვას არას ვართმევდი, რაც მეონდა

ეველიური ბუნებიდან უხვად მქონდა მოცემული მუსიკური მუსიკური თუ დანძძულობად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მე ვა-
რდი მიუვარდა. შემურდათ იგი ჩემთვის. ამ კაცის ხე-
ლმა მახემი გამხვია და აი, ამ გადაიაში მხდიან ხელს.
თუმცა საჭმელს უხვად მაწვდიან და სასტულსაც არ
მაკლებენ, მაგრამ ეს, ამა დასერილ, სუვდით საგსე-
გულს, როგორ განმიკურნავს! მე ამ გალიაში ვდინები
მძროობით, უტოლ-ამხანაგოდ, უმეგობროდ და ჩემი-
გარდი-კი იქ ჭინება; გული მომიკვდა ტეგეობამ, სუ-
ლი შემიხუთა გალიას სივიწროემ! — ოხვრით დათა-
ვა ბუღბულმა და თვალიდან ცრემლის კურცხლები გად-
მოუშეა.

თინა გაძეშებული იდგა და არ იცოდა რა ექნა,
რითი ძიშველებოდა ბუღბულს. ცრემლები რომ დაუ-
ნახა, მასაც გული აემდედრა და ჩემი ქვითინი მი-
რთო.

— რა ვქნა, რა მოგიხურხო? — ჰქითხა თგალ-ცრუ-
მლიანმა თინამ.

— გალიას კარი გამიღე, ჩემო კარგო, — უზასუ-
სა ბუღბულმა. — დაგლოცაჭ, ღმერთს შევავედრებ შენს
თავს, რომ კარგი ქალი და შვილების სასახლო დედა
გამოგიევანოს

თინას მეტის-მეტად ადემრა სურვილი ბუღბულის-
ტევეობიდან განთავისუფლებისა. ბუღბულის ამ სი-
ტევებმა მახუე ძლიერ იმოქმედეს.

— თანაგიგრმნობ, ჩემო ახალო მეგობარო; კი-



ცი ქეთო და ქეთოს მძიმელები გამიჯავრდებიან უკრაინული
გრამ მე მაინც ვერ მოვისვენებ, თუ არ გაგანთავისუ
ფლე — უთხრა თინამ, შესდგა მოაჯირს, გაღიის კა-
რებს ხელი მეუწვდინა და გააღო.

— გმადლობ. — უზომოდ გმადლობ, — უთხრა ბულ-
ბულმა და გაჭჭრინდა; შეხალისდა, შეტორტმანდა, ჩა-
მოვდა იქნე ტირიფის ხეზე და სალისიანად მოჰყვა
გალობას.

თინა დიდ-ხანს უუკრებდა ამ გასაოცებელ სურათს,
ბულბულის სიხარულისაგან ტორტმანტს და მასაც
გჟლი სიხარულით ეპსებოდა.

ლადო გეგეჭკორი.





ჯეჯილს.

(„იუბილეის გამო.“ *)

იბინებს მწვანე მინდორი,
ჯეჯილი, ლურჯ-კაბიანი,
ფრთებ ვამლილი და მაღვაცი
ცქრიალა თვებლებიანი.
სხივი ციმციმი, ნარნარი
ქორფა ფრთებს ჩაჭკონებია.
ნიავი და ჰერის ნორჩ ეანას,
საბმო ისმის სმებია;
„იზარდე, მწვანე ჯეჯილო,
დაპურდე, გახდი ეანაო,
იკურთხოს იმის მარჯვენა,
ვინც გთესა, მოგიუგანაო.“
ჟიკშივი ისმის საბმო
მალხაზი ჩიტუნებისა;
მწეროც ჯეჯილში გოგმანობს
ბანის მიმცემი ხმებისა:
„ამაღლედი, თავი დაისხი,
ჯეჯილო, ნორჩო ეანაო,
იკურთხოს იმის მარჯვენა,
ვინც გთესა, მოგიუგანაო!“
სოფლის ზარარა დათიკომ
მდინარით ამოირბინა,

*) ეს ლექსი დაბეჭდილი იყო თოთხმეტ თებერვალს „სხივში.“



და ჯეჯილს სელი შემსრო,
მოჰქონილა, კერ მოითმინა,
მოჰქონდებლა გახარებულობა.
ჩამა მისს მიურბენინა.

მამამ სთქვა: „ნორჩო ჯეჯილო,
დაზურდი, გახდი ეხნაო,
იკურთხოს იმის მარჯვენა,
ვინც გთესა, მოგიუვანდო.
მიუქარხარ, მწვანე ჯეჯილო,
შენს ძლო დაგიბადეო,
შენს ახლო პირი ვიბახე,
ავმაღლედი, ავიზარდეო,
შენმა ცქოიალდა თვალებმა,
მასწავლეს სწორათ ცქერაო.
შენმა ბიბინმა, შრიალმა —
ტბილი ხმა, ტბილეთ მღერაო.
და მეც გისურვებ ჯეჯილო,
„ამაღლედე, გახდე ეხნაო,
იკურთხოს იმის მარჯვენა,
ვინც გთესა მოგიუვანდო!“

ბ. გელა.



ქაჩა.

(ნორგეგიული ზღაპარი ასბერნსანისა.)



ეო და არა იუო რა, იუო ერთი დედა-ბერი. მას ჰებვედა შეიდი დაშეული შეილი. ამ დედა-ბერმა გამოაწხო ქადა. ქადა მავი ფქვილისა იყო, ამინ ხე მძველივრბდ გაღვივდა. ისეთი დაბორაწული, ისეთი ფუნთუმა დადგა, რომ ხწორეთ სასიამოვნო სენახავი იუო, ემაწვილები შემოუხვივნენ ცეცხლს და ცმუქუნით უურებდენ. ბაბუაც კი დაძრა ქვემაბებიდან და მიუასლოვდა ცეცხლს.

— დედილო. მანახვე გემო, რომ იცოდე რანაირად მძიან, თქვა ერთმა ემაწვილთაგანმა.

— ჩემო კარგო დედილო! მეც.. თქვა მეორემ.

— ჩემო კარგო, ნაქებო დედილო! მეც... ჩამოართვებ სიტყვა მესამემ.

— ჩემო კარგო, ნაქებო, საუვარელო დედილო! მეც მინდა... ძეპეტირა მეოთხემ.

— ჩემო კარგო, ნაქებო, საუვარელო და ოპბილო დედილო! მიაძახა მეხუთემ.

— ჩემო კარგო, ნაქებო, საუვარელო, ოპბილო და ძვირფასო დედილო! მე რაღას მეუბნები, მიუგო სიტყვა მექვემ.

— ჩემო კარგო, ნაქებო, საუვარელო, ოპბილო,

ძვირფასო და პეთილო ღეღილო! მქნ მინდა .. ძესძახე
ძეშვიდემ.

ასე კველა ძვირი ძვალი ენგეწებოდა ღეღის გემო
გვანახეთ. ბაჟშები სამინდათ მძიერი და გონიური
იყმენ.

— კარგი, კარგი, ძვილებო. ცოტა მოიმინეთ,
ქადა გადაბრუნდება, უიჩრა ღეღამ. მას უნდა ეთქმა:
როცა ქადას გადავაბრუნებო — მარც გაჭმევთო მამა
ლას... — ძესედეთ ერთი რა გაღვივებულია და დაბრა-
წული.

ქადამ გაიგო ლაპარაკი, შემინდა და თავის თავად
გადაბრუნდა, ეცალა ბერიდან გადმოხტომას, მაგრამ
ისევ ზედ დავარდა. მერე რა! ისევ იმ გვერდებებს ნეც-
ხლმა მოსწევა, გაახმო, მაგრამ ქადამ ამდენი ქცია,



რომ იატაკზე გადმოხტა, მაშანვე ურმის თვალივით
კარებში გაგორდა, მერე გზაზედაც გადავიდა.

— ოი, ოი, ეს რა დაგვემართა! და დედაბერი კე-
ცით და საკეცით ხედი ქადას გამოუდგა, თან წინ
გაიგდო ჰატარა შვილი—მზარეული. შვილები დედას
უკან გამოუდგენ. ბაბუაც არ ჩამორჩათ.

— დაიცა! შედექი! დაიჭირეთ, ვინა ხართ ქრი-
სტიანები! უვიროდენ და ერთი მეორეს არ აცლიდენ.
უნდოდათ ქადას მისწერდენ.

ქადა კი მირბის და მირბის თავისთვის, ისე გაჭ-
ქრა, რომ კვალიც არ დააჩნია, მდევრებზე ერთი ათად
სწრაფად მირბოდა.

გაგორდა, გაგორდა ქადა და უცბათ გლეხს წა-
აწედა.

— გამარჯვება, ქადავ! უთხრა გლეხმა.

— გაგიმარჯოს, ბებავო გლეხო! უპასუხა ქადამ.

— ლამაზო, დაბრაბწულო ქადავ, ნუ ჩქარობ, სად
მიღიხარ. მოიცავე შეგვაძო, უთხრა გლეხმა.

— მე თავი დავაღწიე დედა-ბერს, ბაბუას, შვიდ
ჩხავანა უმაწვილს, ძენც ავაცდენ თავს, ბებავო გლე-
ხო! მოუგო ქადამ და გაგორდა—გაგორდა მორს...

უცბათ ქათამი შეხვდა.

— გამარჯვება, ქადავ! უთხრა ქათამმა.

— გაგიმარჯოს, ქოჩორა—კაკანავ! უპასუხა ქა-
დამ.

— ლამაზო, დაბრაბწულო ქადავ, ნუ ჩქარობ, სად
მიღიხარ, მოიცავე შეგვაძო, უთხრა ქათამმა.

— მე თავი დავაღწიე დედა-ბერს, ბაბუას, შვიდ



ჩხავანა ემაწვილს, ბერძო გლეხი მოვიშორე, უკურნებულის, რა თქმა უნდა, ქოჩორ—კაპანავ, აღვილათ მოვიცილებ. და ქადა გაგორდა—გაგორდა მორს...

დახვდა მამალი.

— გამარჯვება ქადავ! უთხრა მამალმა.

— გაგიმარჯოს, მამალო, წითელ—ბიბილოანო! მიუგო ქადამ.

— ლაბაზო, დაბრაწულო ქადავ, ნუ ჩქარობ, სად მიდიხარ, მოიცადე, მინდა შეგწამო. ეუბნება მამალი.

— მე თავი დაგაღწიე ღედა-ბერს, ბაბუას, შეიდ ჩხავანა ემაწვილს, ბერძო-გლეხს, ქოჩორა-კაპანა ქათამი მოვიშორე. შენ ხომ წითელ — ბიბილოანო მამალო ადვილათ მოვიშორებ? და გაგორდა—გაგორდა მორს, მორს... რაც მალო ჰქონდა.

მერე შესვდა იხვი.

— გამარჯვება, ქადავ! უთხრა იხვმა.

— გაგიმარჯოს, ჟეჟალა იხვო, უთხრა ქადამ.

— ლაბაზო, დაბრაწულო ქადავ! ნუ ჩქარობ, სად მიდიხარ! მოიცადე, მინდა შეგწამო, უთხრა იხვმა.

— მე თავი დაგაღწიე ღედა-ბერს, ბაბუას, შეიდ ჩხავანა ემაწვილს, ბერძო გლეხს, ქოჩორა-კაპანა ქათამს, წითელ—ბიბილოანი მამალიც მოვიშორე, შენკ, ჟეჟალა იხვო, ადვილათ მოვიშორებ! და გაგორდა—გაგორდა ქადა მორს, რაც მალო ჰქონდა.

ახლა შესვდა ბატი.

— გამარჯვება ქადავ! უთხრა ბატმა.



— გავიძარჯოს ტკინ-თხელა ბატო! უპასუხა ქადაბ.

— ლამაზო, ღაბრაწულო ქადავ, ნუ ჩქარობ, სად
პეშურება, მოიცადე, მინდა შეგწამო, უთხრა ბატმა.

— მე თავი დავაღლიე დედა—ბერს, ბაბუას, შვიდ
ჩხავანა უმაწვილს, ბერავ გლეხს, ქოჩორა-კავანა ქა
თამს, წითელ ბიბილოან მამალს. ჭუჭალა იხვიც მო
ვიშორე და შენც, ტკინ-თხელა ბატო, ადვილათ მოვია
მორებ,—და გაგორდა—გაგორდა ქადა შორს, შორს...
ბოლოს წააბწედა დედა-ბატს.

გამარჯვება ქადავ! უთხრა დედა-ბატმა.

— გავიძარჯოს, ბაჯბბჯა ბატო! უპასუხა ქადაბ.

— ლამაზო, ღაბრაწულო ქადავ! ნუ ჩქარობ, სად
მიღისარ, მოიცადე მინდა შეგწამო, უთხრა დედა-ბატმა.

— მე თავი დავაღლიე დედა-ბერს, ბაბუას, შვიდ
ჩხავანა უმაწვილს, დაბერავებულ გლეხს, ქოჩორა-კავა-
ნა ქათამს, წითელ-ბიბილოან მამალს, ჭუჭალა იხვს,
მოვიშორე შენი მმობილი ტკინ-თხელა ბატი და შენც,
ბაჯბბჯავ, ადვილათ მოვიშორებ.. და გაგორდა—გა-
გორდა ქადა შორს, შორს..

ხლა კი შეხვდა გოჭს.

-- გამარჯვება, ქადავ! უთხრა გოჭმა.

— გავიძარჯოს, ჰირ მურტალო გოჭო! უპასუხა
ქადაბ.

და ორჯ მალი-და ღონე ჰქონდა გაგორდა.

— მოიცადე, რასა ჩქარობ? უთხრა გოჭმა—ნუ-
ლა, ნელა, დამშვიდებით ერთად წავიდეთ.. ტემი
თურმე რაღაც ამბავია?



— მართლა და რა მეჩქარება? დაეთანხმდი უფრო უსულეო
გოჭი და ქადა ნელ-ხელა წავიდენ, წავიდენ და
უცბათ მიადგენ წეაროს. გოჭის რა ენაღვლებოდა, თა-
კისთვის დინჯათ გაცურდა. საქმე იმაში იქო, ქადა რას
იქმოდა?

— დავებ ჩემ დინგზე და გადაგიუვან, უთხრო გო-
ჭმა ქადას.

ქადამ დაუჯერა, დაჯდა იმის დინგზე.

— ღრ....უ...ხუნ, ღრ....უ...ხუნ! მოისმა ხმა და
გოჭმა ქადა გადაელაპა.

ასე მოედო ბოლო ქადასაც და ჩვენ ჰდაპარსაც.
(თარგმანი)

ან. წერეთლისა



ჭია მაია^{*}



ამთრის სუსნების წელი მოხუდა.
 ქარის წიგილ-პიგილი და ბანება-
 ტირილი ძესწედა. ცაზედ მტრად
 მოვარდნილი ღრუბელი - ბურუსი
 ჭდგისკენ გადიკარგა. ქვეყნის მნათობმა ღიმილით გად
 მოხედა დედა-მიწას და საამური სითბო უძღვნა. ზამ-
 თრის მაღი კუდ-ამომუბული გაუჩინარდა და კეპლუ-
 რი გაზაფხული სიამტკბილობით გამეფდა. მინდორ-
 ველი და ხე-ტეს თვალის წირმტაცის შევახით შეი-
 მოსა და ცის ლაჟვარდი ღია ჭირის ფირუზს დაქა-
 ნიგავნა. მინდორ-ველისა და ხე-ტეს დამამშვენებელნი
 ფრთოსანნი მოცქრიალდეს და ჭიკვიკ-გალობით შეა-
 მკეს გაზაფხულის წეოულმუთულით ჰაერი.

ვისაც სიცოცხლის ელფერი ედგა, ეპელი ამო-
 ბრავდა, გამოჭერ თავი ვინ ნაკეთიდან, ვინ სორო-
 დან, ვინ ბუნავიდან, ვინ მიწურიდან, ვინ ფაცხა-ქო-
 ნიდან და ვინ ოდა-სახსხლიდან.

აშერ შემოდგომის სიცივის გამო ჩამოცვინულსა
 და შეტუმშელის უთოლებიდან გამომვრა ჩვენი ფერა-
 დად დახატული ჭია მაიაც, შეიშმუშნა, გაისმორა

^{*}) ქართლში ეძახიან „მარიამ ჭია“ს.



და კომბლეით სიარული დაიწუო. საცოდავს შთელი ზამთარი ემინა. არც საჭმელი, არც სასმელი და არც სახლ-კარი არავის მიუწვდენია საბრ ალოსთვის. სი-ცივისა და ძიმილ-წუურვილით გაბრუებული, ის ცო-ცხალ-მეგდარი ძილდე მივარდნილიერ და ოდნავ სულს ჰქებუავდა, გამსმარ ფოთოლმი მიკუნჩული. ორი-სა-მი ნაბიჯის გადადგმამ ის დაარწმუნა, რომ სიარუ-ლისათვის საჭირო მაღაფონე კიდევ შესწევდა მას და ამიტომ თამამად გაექანა, რათა ხის ფოთოლს მი-წვდენოდა, სადაც მას ეგულებოდა უკვე ნაცნობი გმ-მრიელი ლუკმა ფოთლის ძღილი. ჩაიტკბანურა პი-რი ჭია-მაიმ, მალ-ღონე მოიკრიბდ და ეხლა ფრენაც გაუადვილდა. გაჟქანდა და სკოლაში მიმაგდლს არ-ჩილს მკლავზე დაასკუნდა.

არჩილი ჩვეულებრივის სიცელქითა და სიხარუ-ლით მიეჩქარებოდა სკოლისაგნ. რატომაც უნდა კო-ფილიერ მოწევნილი? გაქვეთილი, როგორც ერველ-თვის, დღესაც დიდის გულმოდგინებით ჰქონდა შე-სწავლილი. გაზაფხულის დილა მეტად მშვეჩიერი იქო და სკოლაშიაც მას მოელოდენ გულგეთილი და მო-წავეთათვის თავ-დადებული მასწავლებელი და ბევრი გულითადი მეგობრები. ესეც ხომ ურთი მეგობართა-განი შეხვდა არჩილს გზაში.

მან კარგად იცოდა, რომ ჭია მაია სენილისა-თვის ფრიად სასარგებლო ჭოდო არის. რომ ეს ჭია დო მუსოს ავლების ფოთლების მტკრს—მღილსა და

მაშასადამე ადამიანისთვისაც ღირად მარგებელია, უნდა მოიკრისა
გან უფოთლოთ ხეხილი გაზაფხულსა და ზაფხულში
ვერ იცოცხლებს და მაშასადამე ნაუოფსაც ვერ გამო-
იღებს.

მერე იმას კი არა შეითხავთ, თუ როგორ უევარს
ჩვენს არჩილს საუსმისა და სადილ-გახშირს შეძლებ
ხილით პირის ჩატკბილება? ამა რა საოქმელია! ან
სად ვაგონილა, რომ პატარა ცელქებს ხილი არ
ჰქვაბრებოდეთ? არსად და არასოდეს!

დიას, გახარებული არჩილი მიექნებოდა სკოლი-
საკენ და თან მეტობრულად ებაასებოდა წინწკლებით
აფერადებულს, ლამაზ ჭია მაიას.

— ხვალ დარია, თუ ავდარი? ხვალ დარია, თუ
ავდარი? ხვალ დარია, თუ ავდარი? — ეკითხებოდა არ-
ჩილი ჭია მაიას და ის კი ნელა მიგოგავდა ბავშის
მელაზზედ იარა, იარა ჭია მაიამ, აუქარა სიარულის;
აივუეა, ხედა ფრთები უხერხულად ზევით ასწრა,
იმან ქვემოდამ მფრინავი ფრთები გამალა, ისკუშა და
თფრინდა.

— ხვალ დარია, დარი!*) — წამოიძახა გახარებულ-
მა არჩილმა და ფეხის აჩქრებით სკოლას მიაშურა.

ივანე ელიაშვილი.



*) თუ არ აფრინდა, ან ძირს დაეცა ჭოლო, — ეს ცუდი ამინდის
მომასწავებელია, ამბობენ იმერლოთში. ამიტომაც იქ ჭია მაიას „ზვალ-
დარია“ს უწოდებენ.



გამოცანები.

უხმო, უსულო, უგულო,
უძვლო, უფხო წყალში დაკურავს.

ორბი, ორბის ოდენი
თავი კოჭის ოდენი.
დაიძახებს — მე ვარ
სოფულის ოდენი

მაღლიდანა მინახავს
დანდა ჩამოკიდებული.
დანდიდანა მინახავს
მე ძვალი გამოლებული,
ძვალიდანა მინახავს
მე წყარო გამოშვებული.

სახუმარო კითხვები.

1. ცხრილით როდის ზიდავენ წყალს?
2. რომელი წლიდან დაწყო ეს წელიწადი?
3. ვინ დაიარება ცველგან დაუკითხავათ?

ა მ ო ც ა ნ ა.

აიღეთ ცხვირსახოცი ერთი წვერით ერთ ხელში და მე-
ორე ხელი მოჰკიდეთ იმის პირდაპირ წვერს, ისე გამონასკვეთ,
რომ, არც ერთი ხელი არ მოაშოროთ ამ ცხვირსახოცის წვე-
რებს...

შ ა რ ა დ ა.

ფარნა ძროხა გამოშექცა,
გამოუდექ, ვერ ვიჭირე,

ვაზი უცბად შემეხეჩა,
მის ნაყოფი დავიძირე.
სახუმართ გასართობი.

— „ბიძია ტიმოთე, ხედავ რა საშინელი შავი ლრუბელი
მოცურავს?! შიშით და კანკალით უთხრა სვიმონამ თავის მე-
ზობელს.

— მერე რაო?

— როგორ რაო? სეტყვა მოვა და მთელ ნათესს გაგვი-
ნადგურებს, შიშილობა დადგება, შიშილობას ჭირი მოჰყვე-
ბა და დავიღუპებით.

— რას ამბობ, მეზობელო, რეებს ბოდავ! სეტყვა კი არა
წვიმა მოვა. იმ წინწკლავს კიდეც! ნათეს გააათასებს, მშენი-
ერ მოსავალს ჩავიმიტ, ბევრსაც გავყიდით და ზამთარში და-
ვსხდეთ და ვიქეიფოთ? ზოვიდეს წვიმა, მოვიდეს!

— ხედავ როგორი ლრუბელია — სეტყვისაა!

— არა წვიმისაა?

— სეტყვისაა!

— სტყუი, მე უკეთ ვიცი!

— შავი ქვა იცი, სულელო!

ტიმოთემ ამ სიტყვებზედ სვიმონის მუშტი სდრუზა, სვი-
მონამაც ცხვირში უთავაზა მუშტი. გაიმართა ჩხუბი. ლრუბელი
ქარმა გაფანტა, არც წვიმა და არც სეტყვა იყო საღმე და მე-
ზობლებს კი სისხლი სდიოდათ ცხვირებიდან.



ჯეჯილის იუბილეი ქუთაისში.



უთაისის ქალთა წრემ გამართა ოცდა ექვს თებერვალს საბავშო უურნალის „ჯეჯილის“ ოცი წლის არსებობის აღსანიშნავათ, თეატრის დარბაზში, სალიტერატურო დილა. მმ დღეს თეატრს აუარებელი ხალხი მიაწყდა. როგორც ბავშვები, ისე დიდებიც, ბევრი უადვილობის გამო დილას ვერ დაესწრო. ასე იწერება გაზეთი „ფონი“ „,დილა მილოცვებით დაიწყო. ანასტასია წერეთლის სურათი ფოთლებით შემკული სცენას ამშვენებდა, მის გარშემო ბავშვებს თავი მოეყარათ და რიგ-რიგად სალამს უძლვნიდენ „ჯეჯილის“ სულის ჩამდგმელს. მილოცვის შემდეგ ბ. აკემი. მოკლე სიტყვით მიმართა დამსწრე საზოგადოებას, მან სთქვა: რომ რიცე-საც პატარა პრუსიამ დიდი საფრანგეთი დაამარცხა, მაშინ ყველამ აღიარა, რომ ამ გამარჯვებაში სახალხო მასწავლებლებს დიდი წილი უდევდა, რომ სწავლა-განათლება ჭალხის გამალონიერებელია, რომ ანსტასია წერეთლისა ამ საქმეს ემსახურებოდა ოცი წელი. და მას სალამს და ჯანმრთელობას უძღვნის.“

შემდეგ ქალაქის სკოლების მოსწავლეებმა შარიბაძის ლოტბარობით იგალობდეს მწყობრათ. სათავად აზნაუროვითავის უმცროს კლასების მოწაფეებმა იმღერეს მშვენივრათ „სამშობლო ჩემო ლამაზო.“ წარმოდგენილი იყო ცოცხლად და გაძელულათ ვოდევილი „დგმური“ ბოლოს გაიმართა ლეკური და დიდი მხიარულობა იყო, ყველა ბავშვის სახეზე სიხარული და კრაიკოლობა გამოიხატებოდა. აქ მოვცვავს პატია ბავშვების წაკითხული ზოგიერთი მილოცვის ლექსები

მ ი ს ა ლ მ ე ბ ა.

(წაიყითხა თამარა წერეთელმა (7 წლისამ.)

ჩვენთვის დედობრივ მოღვაწე,
კეთილო ადამიან!

გონების საზრდოს შენ გვაძლევ,
სათნო და ენა წყლიანო.

მოუტმენელათ გელოდით,
რომ გხედავთ, გვიხარიანო;

გავკიცით ვაშას, — ჩვენს ხმაზე
თვით არე მარეც კრთიანო.

შენს ლვაწლს ამ გულში ჩავბეჭდავთ,
ეს ქართველ ბავშთა ვალია.

ბავშვებო, ხედავთ, მამიდამ
ძალ-ღონე გადაგვალია!

უხვათ გვითხსავს ყანებსა,
მომკა კი ჩვენი ვალია.

იკურთხოს მაგის მარჯვენა,
მხნეობა რომ არ დალია!

* *

(წაკითხულია კოტე ყიფიანისაგან (6 წლის)

ბიჭი ვარ ზემო ქართლელი
ჯეჯილის მოყვარულია,
შოსალოცავათ მოქსულვარ
და გულით მოხარულია.

დედა რომ ვნახე ჯეჯილი!
ჩვენთვის მოთხრობის მწერალი,
აღტაცებაში მოვედი
ამ დიდი კრების მზერალი.

ღმერთმა გიკურთხოს მარჯვენა,
რომ გიშერია ამბები.
მუდამ დაგლოცვენ მუშაქსა
ჩვენი დედები, მამები.

* *

ՎՐԱԿՈՒԹՅՈՒՆ յետառեսուն զամենանոնս Ա յլասուն թուժացալուն
 Շալցա մոմունքարունցունեցած:

Լամբիուտ եղլին Ռոն Յոցանձաւու,
 Ճնաս ցանագը և սօնելոյնի,
 Ցեսարունագ պայլա ցուցնած
 Ամերետս դա ոմերետնի.

—
 Ցենո Շհռմա, Ցենո լվա՛լուն
 Գանա յելու դափասկցեծա?
 Ըրու ցազլուն դա նայուցու
 Ցենո Շհռմուն ցամոհնցեծա.

—
 Բա՛ն թեռլուգ, թեռլուգ բա՛ն,
 յելոնցըլնի սոյրու մյուսագ,
 Ծագայասցեծ, լուցեծունուն!
 Ըուց — Քարտա, պայլա յրտագ.

—
 Բարտալու, յելուց ցուլուտ
 Իզեն ցոլուցաւ ամ լուցունս,
 Բաշրամ, Յուր, մոմացալու
 Առ ցայմարեծ բարեւու յեծան.

—
 "ՀՅԱԼՈՒ" Իռմ ճամփուցեծա
 Դա ցածքեծ և սոյլուն պանա;
 Բա՛ն ապ իռմ սայորու
 Սամնունունուտցուն Ցենուտանա.

—
 Բա՛ ցանցու դա առ ցահերոց,
 Սինց կապանս մզելցեծունագ.
 Ցենո լվա՛լուն դա ամացու
 Գանամբէկուց հայենի սոյլունագ.

ეს ლექსი წარმოსონება ^{*} 8 წლის ფატი გოკიელისამ.


„ჯეჯილი“ შეპურებულა,
ამკობს აზრთ მარგალიტები,
მას ვასევივართ მოზარდნი,
ვით ხორბალს ცელქი ჩიტები.

ვსვამთ და ვსვამთ მკვირცხლათ მომჩერეფარს
გონების საკვებ წყაროსა,
ვკითხულობთ ამბებს ხან სალხენს,
ხან მწარს და სამწუხაროსა.

იკურთხე ამის დამთესო!
ჩვენი გულები შენია:
შენის ნააზრის სხივთ — შუქი
გულს ნათლათ ჩამოვცვრენია.

მკვიდრს ძეგლ ავიგებთ ხსოვნაში
არ მიგცემთ დავიწყებასა:
მოდგმანი მოდგმას გადავსცემთ
შენგან ქმნილ საქმის ქებასა.

ცახელი.



გაზაფხულის პირი.



არტის დამდევი იყო. გაზაფხულის პირი. აღმიანს ეგონა მშეგამოქმნდება ცის ჟატნობს და ააკლვარებს ბურუსით მოცულ არე მარესათ. მაგრამ ამაოდ: აძინდს სულაც არ უჩინდა ნიშნები გამოდარებისა. ის თითქოს განვებ დელზე უარესად მოკუპრულიყო და ისედაც გაძრცვნილ-გაპარტახებულ არე მარეს აბნელებდა, ასე-ვდინებდა. ხშირ ფოთლებიანი ჭალები ეხლა მწირათ მოსხანდა. წილკოტი თოვლის ზეინ ქვეშ მოჭყოლოდა და მწარედ კვნესოდა. წინეთ ზურმარტ მოლით დამშვენებულ მდელოს ხომ ყინულების ბორკილებისაგან სული ჭიდებოდა, გულ-მცერდწიალი ეთიშებ-ეთანგებოდა. ბუნებისთვის თითქოს ეს არ კმარიყო სევდების გასაათკეცებლად ყვავ-ყურნებს საშინელი ჩხაეილი გაპერნდათ და ფართხალით გადალიოდენ ხეების შემხმარ ტოტიდან ტოტზე. ისინი ბუნებას ალტაცებით სულთათანას უმლეროდენ, თითქოს სწამდათ—ეს არის სულ შთლად გაპქრა სიცოცხლის ნიშან—წყალიო.—ყვა, ყვა, ყვა, საზარლად გულის მქენჯნად დაიჩხავლებდენ და თვით ამაყ, ბუმბერაზ, მარად წარბ-შეუბრელ მუხასაც კი შეაერეოლებდენ. ბელურეებს ხომ მთელი ტანით აძაგდაგებდათ და საცოდავი უივ-უივი გაპქონდათ.

არც პატარა თამრო და დიმიტრი იყვნენ მოსვენებაში. ისინი ცისმარე დღეს სარკმელთან იყვნენ იასაულსავით აყუ-

დებულნი და გასცემოდენ მოქაულ ცას, ღრუბლის უზრუნველყოფას ლეჯებიდან მზე ხომ არ აპირებს სხივების გამოპარებასო. დიდი მოლოდინისაგან ხან და ხან მხედველობა მოატყუილებულ ხოლმე და იმედიანად იტყოდენ: დღეს კა როგორლაც განათებულია, ბელურებასაც ხეებზე მხიარული ედურტული გააქვთ, ნამდვილათ ჩვენსკენ პირი იბრუნოა და გაცვიცებოდენ გარედ, რომ ნაფიქტის სინამდვილეში დარწმუნებულიყვენ. მაგრამ ამაოდ: ცივი ზენა ქარი გაშმაგებულ ქშუტუნით მოჰქონდათ, ყინვის წკებლებით დაუწიოლებდა ლოყებს და უკანვე შერეკავდა სახლში.

— რა ვქნა, რას ჩამოგვეკიდა ეს სატიალე ქარი, რომ განუწყვეტლივ პქროლივ და ზუზუნებს. აგერ მარტი უკვე დაღა და ეგ კი გამოდარებას არ აპირობს. ამისთანა დღეს აბარ რა მიუგავს გაზაფხულისას, ჩვენ-კი რეერთი ხანია ვისწავლეთ: მარტი, აპრილი და მაისი გაზაფხულის თვეებია.— იტყოდენ წკმუტუნით ბავშვები და ორად მოკრუნჩხულნი, სიციცივისაგან ცხვირ წამოწიოლებულნი და ლოყებ გალურჯებულნი, დაავადმყოფებულ წიწილასავით აიბუზებოდენ ხოლმე სარკმელთან.

— ეჭ, ვინ იცის წელს გაზაფხული არ-ც-კი მოგვიციდეს? იტყოდა მცირე დუშილის შემდეგ თამრო და მწუხარებისაგან სამოცი წლის ბებერსავით თავს ჩაქინდრავდა.— მემრე რა კარგია გაზაფხული, რა ლამაზად მოიროვება ხოლმე მთელი ბუნება, თითქოს ფერადი აბრეშუმისაგან ნაქსოვი კაბებით არის შემოსილიო. ბალები თეთრი ყვავილებით დაიფუნთებიან და მერცხლები, საყვარელი მერცხლები, ჩვენ ჭერ-ქვეშ ბუდეს გააკეთებენ და დაგვატყბობენ თავიანთი ჭიკვიკ-სტვენითაო.

— ია, თამრო, ია ჭალის პირის რომ იცის ამოსვლა მინდორის დასამშვენებლად. ოხ რა კარგია, რა ნაზია ია, რა დამატებობელი სურნელის კმევა იცის, ოლონდ თოვლი გალხვეს და პირველიდ იმასთან მივირბენ და ვინახულებ. მემრე რა მომხიბლავი ლიმილი იცის, თითქოს გრძნობდეს, რომ ისაა მშვენება მიდამოსი, პირველი ნიშანი ბუნების აღორძინება-განახლებისა, მახარობელი, შიკრიკი გაზაფხულის მოახლოობისა,



უსათუოდ, უსათუოდ მასთან გავიქცევი, სიფრონოები ჩატარებული
ვიღებ მიწიდან და ახალ კურპელში ჩარგულს სათუთად და-
ვასვენებ სამოსწავლო მაგიდაზე.

— ლოკა წითელი ყაყაჩი რიღათიდა ჩამოუვარდება შენ
ისა, აჩეად რომ ამართულა ბალახებში და ისე იჩხევა თით-
ქოს დავლური უნდა დაუართოს, —ვააშევეტინა ლაპარაკი თა-
მრომ და მოჰყვა რაც შეეძლო მ-ს შექმნას.

მაგრამ დიღხანს არ გასტანა თავროს გატაცელება
ლაპარაკმა, მას ისევ მოწყვენილობა დაეტყო.

— თამრო. ეგრე როგორ შევაიტქისნა გაზაფხულის მთ-
აბლოვებამ, რომ გაიძახი: ვინ იცის წელს გაზაფხული იქნება
არც კი გვერდიოს, მაინცა და მარც მარტს მაგრე რიგად
რად უჯერებ. განა არ გახსოვს, შეიმუშავ რომ ლექსი ვისწავ-
ლეთ! „მარტმა სოქვა თოვლ ჭყაპს ვაპირობ, ღმერთო, მიმა-
რთო ხელიო. ცხვარი და ძროხა გავწყვიტო, არ უშვა ჭაკა
ცხენიო, აპრილმა შემოუფეალა: მარტო, ხარ ჭყუა თხელიო, ჯერ
სახნისი დავათვეოთ, მემტე ყანებს ვყოთ ხელიო.“

დათვის რომ ლექსს ამბობდა, უცბათ კამ მორთო ჭუ-
ხილი ბავშვებს სიხარულისაგან თვალები გაუბრწყინდათ,
მცირდში გულმა გამალებით ძეგრა დატწყო, აღმაც ცეპით ხელი
ხელს შემოჰკრეს და წამოიძახეს: შენი გულისა, შენი, ძლივს
არ გავიგონეთ გაზაფხულის დადგომის მომასწავებელი ქუხილი,
ქალაკი ჩვენს გართობა—ლხინს სამზღვარი არ ექნებათ და მე-
ტი სიხარულისაგან დაიწყეს ხტუნაობა და ციბრუტივით გა-
რშემო ტრიალი. კამ მართლაც დიდი ხნის დუმილის შემდეგ
ხშირი წვემა წამოუშენა. ყველა იმედმა მოკუდა, გამოკუ-
ცლდნ დიდიდან მოკიდებული პატარამდის. დიდი ბებიაც კი,
რომელიც ბუხრის გვერდზე მოთავსებულ ტახტს არ შორდე-
ბოდა, ყავარჯენ დაბჯენილი მიუახლოვდა ფანჯარას და წა-
მოსთავა.

— ღმერთო, შენ მოვცხედე მოწყალე თვალით, ბევრჯელ
დაგვასწარი გაზიფხულს შვილებითა და შვილიშვილებით.

არც შინაურ ცხოველებს გამოეპართა: ეს ამბაფი. მათ გა-
მალებით დაიწყეს ეზოში სირბილი: ლორმა ხრულუნის ქმარა

და მიწის ქექა დინგით გაახშირა. ძალებმა კუდის ლაპტევები და წკონილი მოჰყვეს, ფრინველებმა ბუმბული შეიჩებეს, აიბუ-რძენეს, იწყეს მიწაზე ფრთხების ფხაკუნი და კრიახ-ყვირებიტი. ყველა ამათ ისეთი ამბავი გაჰქონდათ, რომ კაცი ეგონებოდა შე-მდეგს გაიძახიანო: პუპლუზ, ზამთარო, სულ ამაოდ ჩაგიარა იო-ნებმა. მართალია, ბევრი ტანჯვა გამოგვატარებინე, ბევრჯელ გავყინე, მაგრამ მაინც გაგიძელით და აქამდის მოვალწიეთ. ებ-ლა ვაკედი ჯავრზე, უკვე ყველგან გაზაფხულის სუნი ტრია-ლებს.

კვირა დილაა, მიუხედავათ იმისა, რომ რვა საათი კარ-გი ხანია შესრულებულიყო თამროსა და დათიკოსი ისევ ეძი-ნათ, რადგან სკოლაში წასასვლელები არ იყვნენ. გაოეთ მოწ-მენდილ ცას ლურჯ ზღვასავით ღელვა, ქათქათი გაჰქონდა. ალარსათ სჩანდნენ პირქუში ვეშაპი ლრუბლები, მხოლოთ ერთ პატარა ლრუბლის ნაგლეჯი, მზის სხივებისაგან გაბრწყინვე-ბული, ბამბის თეთრ ქულასავით გადაპენტილიყო. შარავანდე-დით გაბრწყინვებული მზე უხვად აფრქვევდა არე მარეს სხივ-თა შადრევნებს. ველზე თოვლი უკვე გამდნარიყო და მის ნაცვლათ მწვანე ბიბინებდა მიწიდან ახლად ამომსკდარი ჯე-ჯილი. მთების კალთებზე გამდნარი თოვლი ნაკალულებად ქცე-ულიყო და სიხარულით მოილტვოდა ველზე გადაშლილ ყვა-ვილებისკენ. ის ალარსავითარ დაბრკოლებას არ ეპუებოდა.

„მეყო ამდენი ხნის ყინულების სალტებ ქვეშ ტყვეობა, ებლა ველარ შემაჩერებენ ვერც ქვა-ქვეები და ვერც ქვიშა—ლო-დებიო, და ხავს მოკიდებულ ყორეებზე ჩხრიალით გადადიო-და. ბალს თავი დაელწია თოვლის ბარდებისათვის, გამოცოც-ხლებულიყო და სხვა და სხვა ფერად აყვავებინა თავისი ხე-ები. აქ ატამი წითლად აყვავებულა, იქ ჩუში თეთრად გადა-პნეტილა და სხვა.

კეკლუცი, ცელჭი ნიავი მათ სურნელებას ჰაერში ჰეფანტა-ვდენ და სიტებოება გამეფდა ირგვლივ. სირთა სამეფოც ახმა-ურებულიყო. ნეტარებისაგან დამთერალი კუდ-მაკრატელი კუ-დრაჭა მერცხალი საფრთა ნავარდით ზევით, სულ ცისაკენ, მი-იწევდა.



— „ვიშ, ვიშ, რა მშვენიერია, მოწმენდილი, მათზე ჩემი ქადაგი ცუდია, რა ბეღნიერი ვარ, რომ ფრთები მასხია, რომლის ძალითაც ნება მეძლევა შევიტროთხიალო ცის კამარაში, ავფრინდე მალლა, მივეწებო ცის ტატანს და იქიდან დაუწყო ტრუალი ქვეყნის მშვენიერებას. რა კარგია, რა კარგია გაზაფხულის გარიერაუ, მძლეველი ომის წყვდიადის და ბუნების სხივთა ციადით და-მაგვირგვინებელი, გაიძახის ტოროლა და თან ისარიცით და-ცურავს ცის ეფერში.

სასოების ფრთებ შესხმული იადონი თვალს ვერ აშორებდა აზურმუხტებულ წალკოტს და ტკბილ ზევსურით ქებას უძღვნიდა ბუნების შემომქმედს. ფრთოსანთა მჯოსანი, ბულ-ბული, ხომ მეტის სიხარულისგან ჰყეფდა მრავალ მუხლოვან ლექსებს, მთელ თავის გრძნობებით გაპკიოდა კრიმანჭულებითა.

— „ტია, ტია, ტია, გაიძახის ის შემჯდარი ვარდის პოწეზე და თან ნაა ისკერ უჭირავს თვალი, ხომ არ მემდურის, რომ ვარდიდან ვეალყრსებით. ცხოველმყოფელი მზე უყურებდა ყველა ამას და უფრო მეტ სითბოს ატანდა სხიუბის ისრებს, ბუნების ძალთა დასათბუნებლიად. მან არ დაახანა ბავშვების ოთახში შექუეტა და მოელვარე სხივებიდ გადაწვა მით საწოლზე, ვით პირმშო შვილებს ყელს მოეხვია და ნაზად დაუწყო ღიტინი. ბავშვებს ქორფა ტუჩები შეა გაეპია და პირის ცრა-ცუნი იწყეს. რამდენიმე წუთის შემდეგ კიდევ გამოაღვიძა:

— „გენაცვალე თამრიკე, ერთი წამოიხედე, მზე როგორ გაკაშკაშებულა, — წამოიძახა დათიკომ და თამროს საწოლთან მიირბინა.

— ეხლავე, ეხლავე წავიდეთ მინდორში ჩვენ ენძელი — იე-ბთან — გამოეხმაურა თამრო და გაფაციცებით დაიწყო ტანი. საძოსის ჩაკმა.

ფრინველებმა ეივილ-ხივილს უმატეს და თოთქოს მიხედნენ პატარა ბავშვების გულის წადილსაო ჩამოსძახეს:

— „ჩქარა, ჩქარა, თქვე მძინარეებო თქვენა, ჩვენ რამდენი ხანია გავიღვიძეთ და ვტკბებით ღილის წმინდა შთამბერ ჰაე-რით, ყვავილთა სურნელებით და მზის ალერტიან სხივებით,

თქვენ კი, რომელნიც ამდენი ხანი ელოდებოდით გაზაფხულზე და მისალმებას აკვიანებთ... ბუნებას ქორწილ-მეჯლისი აქვს, ჩეა-რა თქვენც ჩაერიეთ მის ფერხულშაო. „თამროსა და დათიყოს ესლა აკლდათ, რომ საუზმესთვის თავი დაენებებინათ და პირ-და პირ მინდვრისკენ გაქანებულიყვენ.

დ. თურდოსპირელი.





ო ბ თ ლ ი

ოცა სხვები ქეიფობენ,
ეძლევიან ლხენა შვებას
და გულს, რაც სურს, უსრულებენ,
განიცდიან ნეტარებას,—
მაშინ იგი დამშეული
ქუჩა-ქუჩა დაწანწალებს;
კვნესით მოსთქვამს თვის აბლობას.
და ცხოვრების მწარე დღეებს!

* *

როცა სხვისთვის დარი არის:
მზე და მთვარე უნათებენ,
მერცხალი და იადონი
ტკბილ სიმღერებს უმღერებენ,—
შპინ მისთვის ავდარია:
წვიმს, თოვს, ცივა, გრვინავს, ბნელა,
ვერსად ჰპოვებს თავ-შესაფარს
და კვლავ დაძრწის მარტოხელა.

* *

მწარე არის მისი ხვედრი:
არ უნახავს დღე ნათელი,
არ ახსოვს, რომ მისთვის ვინშეს
გეწოდოს ძმურად ხელი...
და დღეს კვილად დამშეული
ქუჩა-ქუჩა დაწანწალებს;
კვნესით მოსთქვამს თვის აბლობას.
და ცხოვრების მწარე დღეებს!

ლადო გეგეჭკორი.

საწეალი ნონია.

(დასასრული)



მ დღეს, რა დუქსაც ნონია და-
ატუსალეს. არუთინას დუქინიც გა-
ჩირიკეს და იკლეს, რაც რამ სა-
სხელები იყო დალიეს, ავეჯი დაუ-
მტვრიეს და დახლში შენახული
ფულიც მოსტაცეს. თითონ არუ-
თინაც გააკავეს და სატუსალოში
წიყვანეს, მაგრამ იმას მწუხარებით

გზაში დამბლობა მოუვიდა და საპყრობილის მაგივრად ლაზა-
რეთში დააწვინეს, მთელი ერთი წელიწადი არუთინა უენოთ
და უმოძრაოთ იწვა საავათმყოფოში, მერე ექიმობის მოწყალე-
ბით, ნელა-ნელა მოვიდა გონს, მეტყველებაც დაუბრუნდა. და
მხოლოდ მაშინ გაიგო ყველაფერი და იმასთან ისიც, რომ პო-
ლიციელის მოკვლისთვის აუარებელი ხალხი იყო გადასახლე-
ბული ციმბირში და მათ შორის ნონიაც.

— პოლიციელი ჰეპუ-კინტუამ მოჰკლა დაბეჭდებისთვის!
შეჰყვირა იმან.—მე ჩემის თვალით დავინახე, მაგრამ თქმა კი
ალარ დამაცალეს... , საწყლები, რა უბრალოთ დაღუპულან
ის საცდავი ბიჭები! ნეტა თუ რას სხადიან იმდენი ხალხის
დაობლებული ოჯახები?! აქ არუთინას თავისი აკლებული დუ-
ქინიც გაახსენდა და თვალები ცრემლებით აევსო. —ოჟ! მახ-
ლას! სოქვა ამოხვრით და კედლისკენ მიიბრუნა პირი.

არუთინას ნათქვამს ყურადღება მიაქციეს, გამოძიება და-
ნიშნეს და ვერელი გლეხები გაამართლეს. გამართლებულები—
ციმბირიდვან დააბრუნეს, დაბრუნებულებმა მოუტანეს ამბავი
ნონიას ოჯახს, უამბეს ყოველი გარემოება იმის გზაში დატო-
ვებისა და იმისი სიკვდილის აუცილებლობისა იმ საზარელ



ყინვაში. დედამ, ცოლ-შვილმა შავები ჩიიცეს, ჭიჭრი გუცებ
და ივაგლახეს, მაკრამ რას გააწყობდნენ და კვლავ შეუდგნენ
გატევრებულ ცხოვრების ზიდვას.

ნონია კი სოფელ ლაზაროვებაში რიგიანად მოეწყო, ლაზარეს ოჯახმა შეიყვარა. როგორც შვილი ისე მიიღო და მეტ მოელმა სოფელმაც ნდობა გამოუტადა და ჩვენი ბერივი მეტადვე სამთარაძე ლაზაროვებაში პატივებმულ კაცად გადაიქცა. ნონიამაც შეიფერა ეს პატივისცემა, შეეცადა მართოა ლირსეულად ექსრულებინა იმათი ნდობა.

ლაზარის ოჯახს მუკათად ებმარებოლა ყოველ გვარ საქმეში, ზოგიერთა ჩვენი ჩვეულებანი გააცნო იმათ, მაგალითად აკვინის ხმარება, რომელიც ღარიბი დედისთვის, მარტო რომ, მისწრებაა. გააკვთა უბრალო აკვინი, გამართა არტახებ-შიბაქით და შიგ ბავშვის ჩაწვენა თითონ იყისრი. ჯერ ყველამ იუარია, მაგრამ რო ნახეს ბავშვი სუფთად იწვა, გადმოვარდნის შიში არა ჰქონდა, მოეწონათ და ბევრმა სხვა მეზობელმაც შეუკვეთა. ზოგიერთა საჭმელების მომზადებაც ასწავლა. მეტადრე შამფურზედ შემწვარი ხორცი ძრიელ მოეწონათ.

ლაზარი ხმე ძლიერ დაუმევობრდა ნონთას. ის საღამ-სა-
დამონბით უამბობდა თავისი შვილების ამბავს, რომელნიც
მოსკოვში ფაბრიკაში მუშაობდნენ, ლოთობდნენ და სახლს
აღარც კი იგონებდნენ.—მთელი სოფლის ახალგაზღობა გა-
ხვეწილია, ამბობდა მოხუცი მწუხარებით.—სოფლის საქმე
აღარ მისწონთ, იქ დიდ ქალაქებში ირყვნებიან და აქ ცოლ
შვილი ოხრად უყრიათ, ჩიწის პატრიონი აღარავინ არის, ვინც
ბრუნდებიან, ისინიც ლოთობის მეტს არავერს აკეთებენ და
მიშის მოკლა—პატრიონობა ბათილდება...

გრძელი, დიდი ზამთრის შემდეგ, როდესაც მხელი ოჯეხთი რვა თვის განვითარებაში თოვლშია წაფლული და ლაზიროვკა, როგორც უფრო ჩრდილოეთის მხრისა, უფრო დიდ ხანს იყო თოვლით მიქედილი. გაზაფხული დაგადა. ამწვანდა თვალ გადუ- წვდენელი მინდვრები, მდოვრეთ მომდინარე მღინარეები აღ- ლენდნენ, ახმაურლენენ და ნაპირებიდან გამოსკდნენ.

ფრინველები აჭიქურდნენ და დიდიხნით დამწყვდეული

ურთიერთობა
მომზევდნენ. გუთნის დედამ გუთანი გამართა, დედაკაცებმა კომბისტოს და კართოფილის თევსა დაიწყეს.

ნონია, როგორც ფხიზელი კაცი და შრომის მოყვარე, ერთ ხმივ აარჩიეს მენახირეთ და ლაზაროვკის კარგა მოზღიული ნახირი ჩააბარეს. ნონიამ ორი მოზარდი ბიჭიც დაიქირავა ხბორების მოსავლელად და შეუდგა საქმეს.

ის მთელი დღეებით თავისუფლად დადიოდა მინდორ-ველად და თან თავის გაკეთებულ სალამურს აწერიალებდა. ეს სალამური იყო ერთად-ერთი ნუგეში და მომგონებელი. ნონიას წარსულის ცხოვრებისა. ეს ტკბილი ხმა აგონებდა ამას თავის სამშობლო ქვეყანას და იმის ნახევის სურვილს უათია-თასებდა.

ამ მუდმივმა ფიქრებმა თავის ქვეყანაზედ, თავის დატოვებულ ოჯახზედ და იმ ულმობელუსამართლობაზედ, რომელ-მაც, ეს ყოვლად უბიშო კაცი, სასტიკ სასჯელში ჩააგდო, თანდათან კამოაფხიზლა ნონია და მის ბუნიოვან თვალსაზრისს, თითქო ბურუსი ახადა, ყველაფერი გარკვევით დაანახა.

როცა სალამ სალამოობით, ჩიბუქებით პირში, ეს და ლაზარე სახლის კარების წინ ისხდნენ და ბაასობდნენ გლეხების სიჩნელით მოცულ ცხოვრებაზედ, ნონია ბორილისავით კი აღარ გამოიყურებოდა, ლაზარის გონივრულ აზრებს პასუხებს აძლევდა და თავის საკუთარ შეხედულობასაც გამოსთქვამდა.

გავიდა ზაფხული, დადგა მსუყე შემოტკიცა. ლაზაროვკელებმა მშვენიერი მოსავალი ჩაილაგეს აწმებში და მომეტებული კომბისტოსი დი კართოფილით დატვირთული, პოვოსკები¹ ქალაქისკენ გაისტუმრეს გასასყიდათ. ლაზარის ოჯახიც, როგორც ერთი უმდიდრესი ოჯახი სოფელში, უფრო მოემტებულის გასასყიდს შეემზადა; ორ ორი პოვოსქა გასკედეს ნონიამ და ლაზარმა კართოფილით.

— ჩემო ეგორკა, უთხრა ლაზარმა ნონიას, (რომელიც ეხლა ეგორკათ იყო მონათლული) ვაბშმის დროს.— მე როგორ-დაც მუხლები მტეხავს და მოდი შენ გაჰყე დედაკაცებს ბაზარში კართოფილის გასასყიდათ. ახლა რუსული კარგად იცი.



შეტყდულობაც, ცოტა არ იყოს რუსისას გიგავს და ქართულული ცნოს ვინმემ კიდევ, მაგისი ნუ შეგეშინდება. გიგარებისა

— ძრელ კარგი, კაცულფილებით უთხრა ნონიამლაზარს და თან გულში ვაიფიქრა: „იქნება ქალაქში შევხდე ვისმე ჩვენ ქვეყნელს და იქაურობის ამბავი გავიგო რამეო“.

ბაზარში, სადაც ამათი სოფლის კარო-ოფილის პოვოსკები დადგნენ, აუარებელი ხალხი ტრიალებდა, ათასი სხვა და სხვა ამბავი ისმოდა. სხვათა შორის, ნონიამ ისიც გაიგონა, რომ კავკასიაში მიღიოდა რამდენიმე სოფლის წარმომადგენელი გლეხი იქ მიწის ასარჩევად, რომელზედაც უნდა გადასახლებულიყვნენ და ის გარემოება რო ენა არ იცოდნენ, ძალიან აფერხებდათ.

— ღმერთო! ჩემი! გაიფიქრა ნონიამ.—ნუ თუ შენ თითონ მაძლევ ღონისძიებას, რომ ჩემი ქვეყანა კვლავ ვნახო და ჩემი ოჯახი კვლავ გულში ჩავიკრა! და მაშინვე შეეხმაული კავკასიაში წამსკლელებს უთხრა, რომ (რა იცოდა იმ საწყალმა, რომ თავის ქვეყნის დამლუპველებს წინამძღვრობას ჰპირდებოდა) თითონ კავკასიელია, კავკასიას კარგად იცნობს, მოენობის გაწევა შეუძლიან და სხ.

რუსებმა ძრიკლ გაიახარეს, იმის გზის ხარჯიც თითონ იყისრეს და პირობა დასდეს, რომ მეორე დღეს საღაძოთი ეგორ ბროდიაზი იმათთან მოვიდოდა და გაწიადისას რეანის გზით გასწევდნენ საქართველოსკენ.

* * *
ნონია სიხარულმა აიტაცა. ეს ყოველთვის წყნარი და ფლეგმატივი კაცი წელში გასწორდა, იმის დალონებული და ძირდახრილი თვალები საოცარი ცეცხლით აინთო და აელვარდა.

— შინ მივალ, შინ! ჩემ ცოლშვილს ვნახავ, ჩემ მოხუც დედას გულში ჩავიკრავ... ჩემ ლამაზ, ძვირფას ქვეყანას თავს შემოვევლები...

— მაგრამ მე ხომ განდევნილი ვარ... ხომ შეიძლება მიცნონ და კვლავ შეშიპყრონ და კვლავ ციმბირში ამამაყოფინონ თავი?!, „გაბარულებს ვადას ერთი-ორათ უგრძელებენო“, ამბობს ლაზარი...



— დევ მოხდეს ის, რაც უნდა მოხდეს! ერთგული და ერთის წამით ხომ ვნახავ, გადავკოცნი, გულში ჩავიკრავ იმას, რაც მიყვარს, რაც ჩემი ღვიძლია!..

ნონიამ რაც ებადა, ყველაფერი ტომარაში ჩაალაგა და კარგა მოზრდილი ქისა, თავის პატიოსანი შრომით მოანაგარით სავსე შიგ ჩაატანა. თავის ჩოხა-ახალუხი, სალოცავ ხატავით შენახული და დაზოგვილი, ზეიდგან დააწყო მოწიწებით და შეუ ღამისას, როდესაც მოელ ლაზაროვას ეძინა, გზას გაუდგა.

ძრიელ ენანგბოდა ნონიას ბებერი ლაზარი, იმისი თეთრ-ქოჩიანი შვილი-შვილები, რომელნიც ამის შვილებს მაგივრობას უწევდნენ, მაგრამ საქართველოში წასვლა ისეთი დიდი რამ იყო იმისთვის, რომ მის გარეშე ნონიას ყველაფერი დაავიწყდა და ყველა მას ანაცვალა.

კვირა დღე იყო.

მართა, ნონიას დედა, თავისი ქოხის კარებში იჯდა და დაღონებულ-დაძმარებული თავის შვილი-შვილებს, რომელნიც მიწაში ფათურობდნენ, თვალს ადევნებდა და თან იმას ფიქრები იქ შორს, შორს, ყინულეოთის სამფლობელოში დაფრინავდნენ, ეძებდნენ და დასტიროდნენ ძვირფასი შვილის საფლავე...

— გამარჯვება დედილო! ამ სიტყვებით დაარღვია მართას ფიქრები ერთმა ახმაბმა, ზურგზედ ტომარა წამოკიდებულმა რუსმა.

— გავიმარჯოს!... ბაგრამ შენ ვინ ხარ?.. ქართული საიდგან იცი?.. კანკალით და გულის ცემით მიუგო მართამ, რომლის გულმა რაღაც საშინელი იგრძნო და შეიკუნტა.

— შინ შევიდეთ, მშობელო და იქ გეტყვი ..

— ოჲ, ოჲ! ღვთის მშობელო!.. წყეულიც არს ეშმაკი... პირჯვარის წერით სთქვა მართამ და თან კარიდგან ჩამოეცალა ნონიას, რომელიც შიშობდა რომ კარში არავის დაენახა და საჩქაროდ ოთახში შევიდა.

— მე ვარ, დედი, მე... შენი შვილი!


— ნონია? ნონია!! საყვარელო პირმშო ჩემო? შექმნავთ მოთხოვთ მართა და გულ წასული შვილის მკერდზე მიეყრდნო... მალე ბავშვებიც შემოცვევდნენ. ცოლიც მოვიდა და საერთო ზრია-მული გაიმართა სამთარაძიანთ ოჯახში.

ნონიამ კარები მიკეტა და ცოლშვალი გააფრთხილა: — მე გამოპარული ვარ, ნუ ყვირით, ნუ მამხელთ, შეიძლება კვლავ შემიპყრობ და ციმბირისკენ მიყონ პირი! აშოშვინებდა ნონია ცოლშვილს.

— „შენ თავისუფალი ხარ, შვილო! თავისუფალი და ცამ-დინ მართალი! შექმვირა სულ მობრუნებულმა მართამ და კვლავ გულში ჩაიკრა თავისი ძვირებასი.

ნონიამ ეხლა შეიტყო რომ იმისი დასჯა უსამართლოდ იყო აღიარებული და იმისი და იმისი ოჯახის გაუბედურება შეცდომის მსხვერპლი და სიხარულთნ საშინელი ზინზი იგრ-ძნო იმათი, ვინც ეს უსამართლობა წოიქმედა.

ეკ. გაბაშვილი.



ტემ ცხელ-ქვეუნებში.



წორედ ნამდვილი წყაროა სიცოცხლისა მზე.
 რომელ ქვეყანაშიც მას სხივები უფრო
 სხვად დაუფრქვევია, თუ იმ ქვეყანას სი-
 ნოტიც ბლომათა აქვს. იქ მცენარეუ-
 ლობა ამოსულია, კი არ ითქმის, იმო-
 ხეთქილა მიწიდან, გადარეულია, ნამ-
 დვილ ასე ცხელ ქვეყნებში, ტროპიკულ
 ქვეყნებს რომ ეძახიან, მაგალითად ინდოეთში. ბევრს თქვენ-
 განს ენახება, მკიოხველო, ტყე საქართველოში. ჩვენი ტყეები
 უფრო კრის ჯიშის ხებისაგან შესდგება: ზოვი სულ მოხის
 ტყეა უმეტესად, ან წიფლისა და რცხილისა, ან წაბლის, ან
 ნაძვისა და ფიჭვისა. ჩრდილოეთისაკენ რო წავიდეთ შორს,
 ცივ ქვეყნებში, იქ კალევ უფრო მეტს ერთგვარობასა ვნახავთ
 ტყეებში: თითქმის სულ მუხნარია (მუხის ტყე), არყნალი (არ-
 ყის ტყე), ან ფიჭვნარი და ნაძვნარი (ფიჭვის და ნაძვისა), მე-
 ტი სხვა არაფერი მოიძევა. ისევ საქართველოს ტყეებში უფრო
 ხშირად შეხვდება კაცი სხვა და ხვა ჯიშის ხეებს ერთმანერ-
 თში არეულს.

ახლა სამხრეთისაკენ გავემზავროთ შორს და აქაურ ტყე-
 ბს გადავავლოთ ოვალი. ბევრს რასმე ვნახავთ საკეირველს:
 ასე იფიქრებ ზღაპრულ ქვეყანაში მოვსულვარ ან სიზმარში ვა-
 რო. რა არ ამოსული, მკიოხველო, რამდენი რამე ამოზღვავე-
 ბულა დედა-მიწიდან! მრავალგვარი პალმა, ინდოეთის ლე-
 ლვის ხეები, ბამბუ, ბანანა და მრავალი ნაირ-ნაირი ბალახი და
 ყვავილი. ყველა ამ მცენარეების შტოები და ყლორტები ისე
 არეულან ერთმანეთში, ისე გარდახვევიან ერთი მეორეს, რომ
 ვერ გაარჩევ, რომელი შტო რომელი ხისაა, ან რომელი ყვა-



ვილი რომელ მცენარეს ასხია. ხეებს შორის ხშირად მუჭადარება
ბით იმისთვის მცენარეებს, რომელნიც შემოხვევიან ხეებს და



გაპშულ-გამობმულან შათ შორის. ამ მცენარეებს ეძახიან დი-
ანას. დიანა, ანუ მხვევარა მცენარე, იტრდება მაჯის სიმსხო
და ზოგჯერ უმსხოსიც. იმგვარად აჲყვება ხოლმე ხეებს და
ეხვევა გარშემო, როგორც მაღლარმა ვაზა იცის ჩვენში. აჲყ-
ვება—აჲყვება უზარ-ჰაზარ ხეს კენწერომდის, შემოეხვევა კენ-
წეროს, იქიდან დაეკიდება თავდალშა, ჩამოიზრდება მიწამდის,

შემოეხვევა იმავე ხეს, აჰყვება მაღლაპირული და
გადავა მახლობელ ხეების შტოებზე, შემოეხვევა მათ ტანს,
გადააბაშის რამდენსამე ხეს ერთი მეორესთან და ამათ ცველას
შეაერთებს იმ ხესთან, რომელსაც თავდაპირველათ შემოეხვია.

დიანას წყალობით ტყე კიდევ უფრო სქელდება და ნამდვილ ტევრად იქცევა, რომელშიაც გავლა შეუძლებელია. ნადირი რო დაედევნება თავის მსხვერპლს, ან შეშინებულია და უნდა თავს უშველოს, მაშინ იგი თავ გამომეტებით დაეჯახება ტევრს, გაგლეჯს და ისე გაივლის. ადამიანმა კი უეპველიად უნდა აიღოს ხელში და გაჭეროს, გასჩეოს ტყე, თორებ უამისოთ ერთ ნაბიჯსაც ვერ გადაადგამს. მოხდება ხოლმე რომ ვეებერთელა ხე, სიბერისაგან ძირ დამპალი ან და მეხისაგან მოტეხილი უნდა წაქულიყო და ადამიულიყო ძირს მიწაზე მაგრამ არა,— იგი ისე შეუბოჭავთ მხევევარი მცინარეებს, ისე გაუმაგრებიათ, რომ მცვდარი ხე სდგას იქვე, სწორად, სადაც აძლესულა და გაზრდილა. დიდხანს არის ამ მდგომარეობაში. ბოლოს და ბოლოს დიანას მსხვილმა გრძებილმა ვეღარ გაუძლო დიდ ტანრვანს ხეს; მაშინ იგი წაიქცა, მაგრამ რომ იკოდეთ, რა ამბით! თან წაიყოლა მრავალი სხვა ხეც. რომლებთანაც შებორკილი იყო ერთად. იმისთვის ხმაურობით, იმისთვის ზანზარით დაეცა ძირს, რომ ეგონებოდა კაცს, დედა-მიწა შეირკა და მთელი ტყე დაიქცა.

ტროპიკულ ტყეში ისე ახლო იზრდებიან ხეები ცრთი მე-
ორესთან, რომ ვერ მოუხერხებიათ განხე შტოების გაზრდა;
მაგივრათ ძალიან მაღლა აუშვიათ ტანი და იქ, კენჭეროში,
თავისუფლათ გაუშლიათ დიდრონი ფოთლები და საუცხოო
ყვავილები. ზოგ ადგილებში ისე ახლოს მისულან ხეების კენ-
ჭეროები ერთმანერთან, ისეთი კარავი გაუკეთებიათ, რომ
მზის სხივს ჩისაძრომი ველარ უპოვნია. ამის გამო ხეებს ქვეშ
საოცარი ნოტიობა და სიბძეელია, წყვდიადი, საიდან ნადი-
რიც კი გაქცეულა, ისე შეშინებია სიბძელისა. დარჩენილიან იქ
მთლიან ბაყაყები, გომბეშოები და სხვა ქვეწარმოვალნი. სო-
კო კი ბლობად იცის ამისთანა ნესტიან ადგილებში, მაგრამ
ვინ მივა იქ სოკოსათვის, იმისთანა გულის შემზარავ სიბძე-
ლეში!

ბევრს ადგილს საოცარ სურათს წარმოადგენს ტრუქულებრთვა
ლი ტყეები. რა სიუხვე მცენარეულობისა და რა სიმღიდრე
მრავალგვარ ცხოველებით! აგერ დიდ უზარ მაზარ ხეებილან
გადმოკიდებულიან ყველითა ნაწნავები და მათის სურნელებით
აშენირებულია არემარე. ის იქ მუქ-მწვანე ფოთლებიდან ვა-
მოიყურებიან ბანანის ნაყოფთა მტევნები და ოქროსფერად
ჰკრთიან. ხის შტოებზე თვალის დახამხამების სისწრაფით მი-
მოდიან მაიმუნები, ერთი ხილან მეორეზე ხტებიან და შეე-
ჭიებიან გემრიელს ხილისა. მაიმუნებისაგან დაფრთხოლი ფერად-
ფერადი თუთიყუშები და სხეა ფრინველები გუნდ-გუნდათ აშ-
ლილან—არეულიან ერთმანერთში და მრავალ ფერად აუკრე-
ლებიათ ჰაერი. ის აგერ ჩამოეშვა ხილან მთელი ხრო მაიმუ-
ნებისა და გაეშურა მდინარისაკენ: განუწყვეტელი ფივილ-ხი-
ვილით ხახა ამოაშრათ და ახლა უნდათ ჰირი გაისველონ წყლით.
ძალიან ფრთხილად კი მიდიან, სულ აქეთ-იქით იკვირებიან,
მტერი ხომ არავინ არის მაღალ და სქელ ბალახებში ჩასაფ-
რებულიო. უცებ ბელადი მაიმუნი შესდგა... იყივლა საოც-
რად, ელვის სისწრაფით გადახტა უკან და მიიმალა მახლობელ
ხის ფოთლებში. დანარჩენებიც შეშმა აიტაცა სულ ერთიანად
და კივილ ჩხავილით გამჟღვნენ მას უკან. ნეტა რა დაუმართათ?
რამ დააფრთხოთ ასე საოცრად? ამ დროს ჰერდავ იქ სქელი ბა-
ლახებიდან თავი წამოუყვით
გაჯავრებულს ვეებერთელა
გველს. გამოუგდია ბოძალა
ენა, ნამეტანის სიბორიო ჩით
კისერი გაბერვია და საშიშ-
რად სისინებს. თავხედმი მაი-
მუნებმა დიდი სიბრიყვე ჩაი-
დინეს! იგი თავისთვის იწვა
ბალახებში და შეუშეოთეს
მას მოსვენება. ენა-ბოძალა
ხელავს, რომ ბრიყვები აღარ-



სად სჩანან. მაშინ იგი ხელახლა დაეშეება ძირს და მოიგრა-
გნება: მზის სხივებისათვის მიუშვერია ზურგი და სთბება...
მაგრამ ცხოველებზე საუბარს ახლა თავი დავანებოთ, შემდე-
გისათვის იყოს.

ალექსი ჭიჭინაძე.

“**მეგობარი გოშია**” (ფალგენბრუნისა)



სულ: სამი თვე კვერცხლობდით მე
და ის ყმაწვილი ერთათ სკოლა-
ში, მაგრამ აქამდის არ შემიძლია
მისი დავიწყება. ის ცოცხლათ
თვალწინ მიღებას თავისი მწვანე
მაუდის კურტკით და ნატრის
ფერი, ძალიან მოკლე შალვა

რით. ვხედავ მის დიდსა და მსხვილს, ყოველ-
თვის ძირს ჩამოშვებულს და მუქი მწვანე ქუ-
დით დაფარულს თავს, ქუდი არ უდგებოდა
თავზედ. ნათლათ ვხედავ მის უხერხულ სია-
რულს: ხან ღუმილს დაეტაკებოდა, ხან კარებს
და ხან ვისმე დერეფანშივე მოსიარულეს, თით-
ქმ ბრმა არისო.

საკოდავ მდგომარეობაში არიან ხოლმე ასე-
თი ბავშები სკოლაში, სასტიკად აწვალებენ მათ
ამხანაგები. ამისთანა ბავშებს დასცინიან, აჯავ-
ძალიან ნიჭიერნი ან ღონიერნი არ არიან. მა-
აკუთრებული ნიჭი, არც ღონე ამ უშნო თავ-
ონდა.

კლასში ის სხვებისგან არ განიჩეოდა; ზარმაცი და მუდამ ჩაფიქრებული, ოცნებები გაიტაცებდნ ხოლმე; აშერა იყო რაღაცაზე ფიქრობდა, მაგრამ მხოლოდ გაკვეთილებზე კი არა. კლასს გარეთაც იგი არ იყო გმირი; განაზებული, ლაპარი, რადაც მშიშარა და გულწათხოვილი, სწორეთ ისეთი, რომელსაც მოწაფეები ჩანსაზე ეძახიან.

მისი ჩანჩურობა განსაკუთრებით გიმნასტიკის გაკვეთილის დროს აშკარავდებოდა; გიმნასტიკა ჩვენ სკოლაში ცველასა-



თვის სავალდებულო იყო და ამ ვარჯიშობას შესრულებული დღებას იქცევდენ. პირველივე გამოცდის შემდეგ პატარა ზიპა უკანასკნელ რიგში დაყენეს, სადაც უველაზე პატარები და სუსტები იყვნენ, აქაც ის თითქმის უველაზე უვარებისი იყო.

შემოვიდა თუ არა სკოლაში ეს ულაზათო ზიპო, პირველ დღესვე მისცეს სახელი: „მეგობარი გოშია“. ვინ დაარქვა ეს სახელი — ძნელი გამოსაცნობია, მაკრამ უველამ მალე კი შეითვისა, განსაკუთრებით მის შემდეგ, როცა ვიმინასტიკის პირველ გაკვეთილზევე ახალშემოსული თოკზე უნდა ასულიყო. ხავილით და ხელ-ფეხის ფართხალით აღიოდა თოკზე ზევით, რამდენიმე ფეტის სიმაღლეზე, პატარა უშწეო ტანის ქმნილება. და შემდეგ ოხვრით ჩასჭიდებდა ხელს თოკსა და გაჩერდებოდა — ასე გეგონებოდათ თევზია მშრალზე გარიყულიო — სანამდის გაჯავრებული ხშა: „ჩამოდი!“ არ მისცემდა ნიშანს, რომ ჩამოსცლა შეიძლება. ამ შეუსრულებელ ცდას ნაცრის ფერ შარვალზე თოკის რამდენიმე გატყლაშუნება და ეტყობოდა ხოლმე. ჩამოვიდა თუ არა წყეულ თოკიდან „მეგობარი გოშია“ — მორცხვად დადგა კუთხესთან და ჩვეულებრივად აცნება დაიწყო.

რაზე ოცნებობდა — ჩენ, რასაკვირველია, არ ვიცოდით; მაგრამ მალე გავიგეთ, რომ მას პირველათ ჩიუტოვებია მშობელი სახლი და საწყალი სამშობლოზე დარდით იტანჯებოდა.

სამშობლოზე დარდი! განა ამ დარდით მოწაფეების უშეტესობა ჩუმათ არ იტანჯებოდა? შეიძლება უველაც იტანჯებოდა, მაგრამ ყოველი მათგანი ცდილობდა დაემალა ეს, და ჩენი „მეგობარი გოშია“ — კი არ მალავდა.

ოთახში, სადაც დააბინავეს, ის ყოველთვის მაგიდასთან იჯდა. მუშაობდა? — არა! ის წერილებს სწერდა. მსხვილი, უშნო ასოებით სწერდა მუდაძ წერილებს და სულ შინ, დედასთან. თითქმის ძალით ხელიდან ართმევდენ ქალალდა და გამოაგდებდენ კარში, რომ საღილს შემდეგ, როგორც წესათ იყო მიღებული სასწავლებელში, ესეირნა.

სკოლაში შემოღომის დამდეგს შემოვიდა და იმედი

ჰერნდა საშობაოთ შინ წასკლისა. და აი ჩეენ შემთხვევულშაჲ ჭარბიანია ვიგეთ, რომ „მეგობარ“ გოშიას კი, რომელიც მოუთმენლად ელოდა შობას; გაეკეთებინა თავისითვის კალენდარი. რამდენი დღეც რჩებოდა შობის უქმეებამდი, იმდენი სიგრძით ხაზი გაესვა ერთ ფურცელ ქალალზე. ყოველ საღამოს გადახაზავდა ამ ხაზს; ეს ნიშნავდა, რომ დრო ერთი დღით შემოკლდა. დილიდან საღამომდი მხოლოდ იმას ფიქრობდა, რომ საღამოს კიდევ ერთ დღეს წაშლიდა.

როდესაც ეს გავიგეთ საცოდავის გარშემო ერთი გრიგალი ავტეხეთ.

— „გოშია“, როგორ არის შენი კალენდარი! „მეგობარო გოშია“, რამდენი დღე დარჩა შობამდის? „გოშია“, შენ ტყუილად ხაზავ კალენდარს, აკი დირექტორმა სთქვა საშობოდ ვერ წახვალო.

როცა ეს მუქარა ესმოდა, საცოდავ „გოშიას“ მიწის ფერი ედებოდა, თუმცა იკოდა, რომ ამხანაგები მხოლოდ სულელურად ემახარებოდენ. მისი გაფიცრება უსაზღვრო სიხარულს იწვევდა მოწაფეებში. — ძალიან უგუბურია ეს „გოშია“! რა მალე სტყუვდება! — იძახოდნ ყმაწვილები.

ამასობაში დადგა ზამთარი, ნოემბერი დაიწყო და სიცივები დაიჭირა. ვიმნასტიური ვარჯიშობა სიცივის გამო დაბაზუ ხდებოდა. მოედანი, საღაც ზაფხულში ვსწავლობდით გიმნასტიკას, თავის უფლათ ჰაერზე, ეხლა უდაბნოსავით იყო მიტოვებული.

ერთხელ ნასაღილევს, როდესაც საზამთრო პალტოებში მორთულნი ჩეენები ჩეეულებრივად სეირნობდენ ბალში, შევნიშნე კედელთან, რომელიც ეფარა სავარჯიშო მოედანს, მოწაფეების გროვა. მოწაფეები იცინოდენ და სხვებსაც იწვევდენ. მე, ჩემთან მოსეირნე ამხანაგთან ერთათ მიუახლოვდი ამ ჯგუფს, შორიდანვე გვანიშნეს არ გვეხმაურა.

— ჩეენი „გოშია“ — გიმნასტიკაში ვარჯიშობს! — გვიჩურნულეს და სიცილს ძლიეს იკავებდენ. — იმან არ უნდა გაიგოს, რომ ჩეენ უთვალოვალებთ.

მართალია „გოშია“ გიმნასტიკაში ვარჯიშობდა!



ჩვენ გადავხედეთ კედლიდან სავარჯიშო მოეტაცს, მოეტაცს, მოეტაცს
მელიც მხოლოდ რამდენიმე გოჯის სიმაღლეზე იყო მოედან-
ზე, სადაც მოწყვენილათ იდგა კიბეები, ბოძები, ხარიხები და
სხვა საგიმნასტიკო საგნები, პალტოს ჯიბეებში ხელისწყობი-
ლი „მეგობარი გოშია“ წინ და უკან ბოლოთას სცემდა. ის-
ჩვეულებრივად რაღაცაზე ფიქრობდა. დიდი თავი ჩვეულებ-
რივზე მეტად ჩაქინდრული ჰქონდა, თვალები მიეჩრდინა
მოედანზე შუა მდგარ, დახრილ და მოქანავე ანძაზე.

ბოლოს, როგორც ეტყობოდა „გოშიამ“ რაღაც გადასწყვიტა. ის აკოცდა ანძაზე, მაგრამ ისე უხერხულათ, რომ კინალამ მაშინვე გადავარდა. ჩვენ ამ ულაზათო გიმნასტიკის ვარჯიშობის მაყურებლებმა, ძლიერ შევიკავეთ თავი, რომ ხმა-მალლა ხარხარი არ დავვეშვი. „გოშია“, აშკარა იყო, ფიქრობდა,— მივაღწევ თუ არა დახრილ ანძის ბოლომდეო! მაგრამ რატომ? რა მიზნით თავის შესაქცევათ? ან იქნება ვარჯიშობდა! მაგრამ ვარჯიშობა მას არ უყვარდა.

ახლი ეტყობოდა, ახალი აზრი დაებადა. მოიციქა, რომ
თუ პალტოს არ გაიხდადა, თავის გეგმას ვერ შეასრულებდა.
ის ისევ ჩამოვიდა ბოძიდან, სიცივეს ყურადღება არ მიაქცია,
გაიხადა პალტო და იქვე ბოძზე გადაჰკიდა.

კარში ძლიერ ყინავდა. „გოშიას“ ხელები სულ გაულიტჯდა, თითები კარხალივით გაუხდა, მაგრამ სრულიად ამას ყურადღებას არ აქცევდა.

ფრთხილად მიმოიხედა, დაწყუნდა არავინ მითვალთვა-
ლებსო (ჩვენ ვერ დაგვინახა, რადგან შევნიშნეთ თუ არა მი-
სი მოძრაობა, მაშინვე კედელს მოვეფარეთ) და ხელები გულ-
ზე დაიკრიფა, თითქო ლოცვას აპირობსო.

რისთვის ლოცულობდა? უნებურათ დავეკითხეთ ჩვენ თავს, ნუ თუ იმისთვის, რომ ანძის ბოლომდე მიულოცულიყო?

კედელს იქით გაისმა ჯერ ნელი შეუკავებელი სიცილი; გიფური ხარხარი თითქმის შეუკავებელი იყო. ბავშვა ლოცვა გაათავა. ხელმეორედ აუკარა ბოძე, ხელები ფართოთ გაშალა, რომ არ გადმოვარდნილიყო და ისეთის სახის გამომეტ-

უკელებით, თითქმი მისი ბედ-ილბალი ამ წუთას გადასწყდე-
ბოდა, შეუდგა გზას.

თავში, სანამ ანძის მსხვილ ბოლოს ფეხებ ქვეშ გრძნობდა
საქმე კარგით მიღიოდა. მაგრამ თანდათან, ანძა უფრო წვრილდე-
ბოდა, აქეთ-იქით ძალზე იჩეოდა და საშიშარ მდგომარეობაში
ვარდებოდა. ამის და მიუხედავით იქნება იმას შევიდობიანათ
მიეღწია ანძის ბოლომდე რომ... რომ ამხანაგების სიბოროტეს
არ დაეშალა. უცბით კედელზე ყველას თავი გამოჩნდა და
ასტყდა ნამდვილი ღმული:

— „გოშია“ გადმოვარდები!
— გადმოვარდები „გოშია!“
— ჩამოდი!

ამაზე ბავში შეშინდა, მაგრამ გულს მაინც არ იტეხდა.
პირ-მოკუმული, თითქმის იმედ მილეული, მაინც განაგრძობ-
და წინ სელის. მაშინ მთელი ჩვენების გროვა გადახტა კედელ-
ზე. ერთმა ბავშმა სტაცა ხელი ანძის წვრილ ბოლოს და რაც
ლონე ჰქონდა, დაუწყო ქანაობა. საცოდავ „გოშია“ თავის
შეკავება თანდათან უჭირდებოდა.

— თავი დამანებეთ! — ყვიროდა ის წკრიალა ხმით — თავი
დამანებეთ!

მაგრამ ბავში არ ჩერდებოდა, უფრო ძლიერად აქანა-
ვებდა ანძას, საწყალი „გოშია“ თვალის დახამხამებაში გად-
მოვარდა.

ასტყდა ხარხარი, რომელიც ლრიალს უფრო ჰგავდა და
მაშინვე გაისმა „გოშიას“ მრისხანე ხმა: დამატდე! ყმაწვილს
თავის დღეში ცუდი არავისთვის უქნია, და ჩეუბის დროს,
ლოკოკინასავით იმალებოდა, ახლა კი გმხეცებული ეცა ჩა-
მომდებ ბავშვს და დაუშინა მუშტები. რასა კვირველია სამა-
გიეროს არც ის აკლებდა, სხვებიც დაეხმარენ მას; რამდენიმე
წუთის შემდეგ საცოდავი ყმაწვილი მიწაზე იყო გაშელარ-
თული, სახე ხელებით ჰქონდა დაფარული და მწარედ ქვი-
თინებდა. ჩეუბის დროს ქუდი გადმოუვარდა და იქვე მიწა-
ზედ ეგდო, მაგრამ ყურადღებასაც არ აქცევდა. თუმცა საშინ-
ლათ სციოდა, ის ისევ უპალტოვოთ იყო და როგორც სჩანდა
ჭიკივეს არ გრძნობდა.




მოწაფეები მაინც თავს არ ანგებდენ, ლრიან ცელით გადაცვა
შემოეხვივნენ და განაგრძობდენ წვალებას; ბოლოს უფროს
მოწაფეებმა მოაშორეს ყმაწვილს მტანჯველები, დაუწყეს ფე-
რობა „გოშიას“, მოინდომეს მისი წამოყენება,— მაგრამ ვე-
რაფერს გახდენ. მწარე ქვითინი და უნუგეშო თავის ქნევა
იყო ამის პასუხათ. ასე იყო საქმე, სანამდის აღმზრდელი არ
გამოჩნდა. ყოველთვის, მთელი კვირის განმავლობაში რომე-
ლიმე მასწავლებელი ყურს უგდებდა მოწაფეებს გაკვეთილების
დროს, და გაკვეთილების მომზადებაში. რადგანაც ჩვენი თავი
დიდ სწავლულებათ მიგვაჩნდა, ასეთ მასწავლებელს, ბერძნუ-
ლის მიხედვით „გებდომადარი“ დავარქვით.

ამ კვირაში ზედამხედველად მოხუცი მასწავლებელი დანიელი იყო. დანიელი ახოვანი, ჩასუქებული, სამაგალითო გულკეთილი და ბავშვების მოყვარული იყო.

ის მარტო დასეირნობდა საიღლაც ბალის კუთხეში, ხმა-
ურობამ და ყვირილმა მიიქციება მისი ყურადღება და საჩქა-
როთ მოვაიხლოვდა.

გამოკითხვაზე დრო ას მოანდომა და სწრაფად მივიდა ბავშვთან, რომელიც ისევ მიწაზე იყო გაშენლართული. ფართო ფუნთუშა ხელები გადაუსვა თავსა და აბურძენულ თმებზე საკოდავს. ერთ ფ—სი





სხვა და სხვა ამბები.

ყმაწვილის თავგანწირვა.



რომა ცამეტი წლის გლეხის ბიჭმა, რომელსაც სახე-
ლათ ერქვა სიონი, გადაარჩინა დაბრჩობას თავისი
ტოლი კი არა, ვეება ჯარის კაცი. ეს მოხდა 1907
წელს, 17 კათათვეს. სიონი ჩავარდა მდინარეში, კურზანთან
ახლოს და ამოიყვანა იქიდან ჯარის კაცი, რომელსაც არა
სკოლნოდა ცურაობა და წყალს მიჰქონდა.

ჯარის უფროსმა დიდ ძალი ხალხის დასწრებით მაღლო-
ბა ვადუხადა ამ თავგანწირულ ყმაწვილს და ძლია საჩუქრათ
40 ფრანგი.

სიონის მამამ არ მისუა შვილს ნება, რომ ფული გამო-
ერთმია. ის ამბობდა, რომ ადამიანის სიკადილისაგან გადასარ-
ჩენათ ფულს არ იღებენ. ჯარის უფროსი ძალიანა სოხოვ-
და .. მაშინ მამა-შვილმა გადასწყვიტეს რომ ეს ფული გამო-
ერთმევინათ და შეეწირათ უსაქმოდ დარჩენილ შუშათა თანხის
სასარგებლოთ, რადგან იმ დროს მეტათ ბევრნი იყვენ დარჩე-
ნილნი საქმეთა გარეშე.

სტუდენტი—ექიმი ლუი ბაზი.

საფრანგეთის ერთ საავათმყოფოში 1908 წელს, მარტში,
როდესაც ეს ახალგაზრდა სტუდენტი, ლუი ბაზი, შველოდა
ოპერაციის გაკეთებას ერთ გამოჩენილ ექიმს, უცბათ, როდე-
საც ექიმმა დანა გადუსვა ავათმყოფს—ჩირქი შეესხა სტუდენტს
თვალში.

სტუდენტმა კარგათ იცოდა, რომ თუ მაშინვე არ გაშებანს
წამლით თვალს სიბრმავე მოელოდა, მაგრამ თანაც იცოდა,
რომ ექიმს მის მაგივრობას ვერავინ გაუწევდა და თუ თავს მი-



ანებებდა ოპერაციის დამთავრება შეუძლებელი იქნებოდა და ავათმყოფი უეჭველათ მოკვდებოდა. ლუი ბაზიმ განაგრძო თავისი საქმე და თვალი არ გამოიბანა წამლებით, სანამ ოპერა-ცია არ დამთავრდა.

სამი დღის შემდეგ ყმაწყილს გამოაჩნდა თვალის ანთება. შვილი თვის განმავლობაში საშინელი ტკივილები ჰქონდა, მისი ტანჯვით ქვეაც კი დაიწოდა. ბოლოს ნოემბერში, 1908 წ. ისევ იმ ექიმმა, რომელიაც ოპერაციის დროს ასე თავგანწირულათ შევლოდა ლუი ბაზი, თვითონ ამ სტუდენტს გაუკვათა ოპერაცია და ამოუღო სრულიად გაფუჭებული თვალი.

მაცხოვრის ცნება:

იმანე ღვთისმეტყველი სიბერით დაუძლურდა და ვეღარ დადიოდა მრევლში ქრისტეს რჯულის გასავრცელებლად. ამხანაგები ხელით ატარებდნენ და ის მხოლოდ ქადაგობდა. შემდეგ სიბერისაგან ლაპარაკსაც ვეღარ ახერხებდა და მხოლოთ ერთს და იგივე სიტყვებს იმეორებდა: „შვილნო ჩემნო, გიყვარლეთ ერთმანეთი!“

გავირკვებული მოწაფენი ეკითხებოდნენ მოძღვანს: თუ რად იმეორებს ყოველთვის ერთ და იგივე სიტყვებს „ეს არის მცნება მაცხოვრისა,“ უპასუხა იმანემ, ეს არის შემოკლებული შან-არსი მთელის ქრისტიანობის მოძღვრებისა.“

უდიდესი კანონი.

ორი დიდი რჯულით მდებელი ებრაელებისა შამმაი და გოლლილი სულ სხვა და სხვა მიმართულებისა იყვნენ. შამმაი იყო სასტიკი და გულ ციცი, გილლილი კი კეთილი და ღმობიერი.

ერთხელ შამმაისთან მოვიდა კერპთ მსახური და უთხრა:— მე მსურს მივიღო ნამდვილი სარწმუნოება, მხოლოდ იმ პირობით, რომ ერთი თვილის დახამხამებაზედ გადმომცე მთელი რჯულ-მდებლობაო.“

შამმაი გაწყრა და გააგდო კერპთ მსახური. მერე ის წავიდა გილლილეისთან და ისევე უთხრა.

„კარგი, ჩემო შვილო! მიუგო გილლილამ, — მიუგე შენ მოყვასს ისევე, რაც შენთვისა გსურსო. ი მთლად ჩვენი სწავლების აზრი ამ სიტყვებში გამოიხატებაო.“

შორის მდებარეობს, მხოლოდ მათი შუაწელი უჭირავს ნაციურული ფიქრების მხრივ ამ ქვეყანაზე დაცუიგივე ითქმის, რაც ქალღუს შესახებ ითქვა. აქ ბინაძრობის დროს ქართველ ტომთა შორის ყველაზე მეტი ძალა და სახელი მიტანებმა მოიპოვეს. აქ მათ დაიარსეს საკმაოთ ძლიერი სახელმწიფო, რომლის საზღვრებიც აღმოსავლეთისკენ რიგრამდე იღწევდა, ხოლო დასავლეთისკენ თავრის მთებამდე მათი დედა-ქალაქი იყო ხარისხი, რომელიც ეფრატის ერთ-ერთ ტოტზე მდებარეობდა. პირველი ცნობები მიტანების შესახებაქნ. წინ 2000 წელს ეკუთვნის, როცა იგინი ბაბილონის მეფეებს ებრძოდენ. მაგრამ მიტანების ძლიერებამ უმაღლეს ხარისხამდე ქნ. წინ მე—13 საუკუნის მეორე ნახევარში მიაღწია. ამ დროს თავი ისახელა მიტანების მეფემ ტუშრატამ. მაშინ მიტანებს ორი ძლიერი მეზობელი ჰყავდა: ეგვიპტე და ბაბილონი. ეგვიპტესთან ტუშრატა-მეფეს მეგობრული განწყობილება ჰქონდა; ბაბილონს კი სასტიქს მეტოქებას უწევდა. 1430 წლის მახლობლათ ტუშრატამ ქალაქი ნინევია დაიპყრო, რომელიც ბაბილონის სახელმწიფოს წაართვა. გამარჯვების ნიშნად, ტუშრატამ ნინევიდან იქაური ქალ-ლერთის იშტარის კერპი წაიღო და ეგვიპტის მეფეს ამენტოტეპ შე-III-ს გაუგზავნა. ამ უკანასკნელს კოლად ჰყავდა ტუშრატა-მეფის ქალი და თავის სიმამრს, ერთგულობისათვის, მრავალ ოქროს უგზავნიდა ხოლმე.

მე-15 საუკუნის შემდევ მიტანების ძლიერება თანდათან ეცემა. მე-13 საუკუნის პირველ ნახევარში (1300—1270 წლებში) მიტანების სამეფოს ასურეთის გაძლიერებული მეფეები იპყრობენ (ჩამან-ნირარი I და სალმანასარ I); მიტანები კი იძულებული ხდებიან ან შემოსულ უცხო ტომებს შეერთონ, ან შუამდინარე დასტოვონ და ეფრატის დასავლეთით გადასახლდენ. მათს ადგილს კი, შუამდინარეში, ასურელები და ამათი მონათესავე არამელები იქცერენ. ამგვარათ, თავისი პირვენდელი სამშობლო (ქალღუ) ქართველებმა ბაბილონელებს დაუტოვეს, ხოლო შუამდინარე—არამელებსა და ასურელებს.

3. მაშინდელი კულტურა და სარწმუნოება. როგორც



ზემოთ შევნიშნეთ, ქალდუ და შუამდინარე მეტათ ტრიუმფული გრი ქვეყნები იყო. მათი ნიადაგი განსაკუთრებით მიწის მუშაობას უწყობდა ხელს. ამიტომ შევვიძლია ვიფიქროთ, რომ ქართველები იქ ყოფნის დროს მიწის-მუშაობის მიმდევარნი უნდა ყოფილიყვნენ.—მიწის-მუშაობის გარდა ქართველებს იქვე შესწავლილი ჰქონიათ ჩაღნეულის შემუშავებაც; განსაკუთრებით ბრინჯაოს ნივთები ყოფილა გავრცელებული. ოქრო და რკინა კი მარტო სამკაულიდ უხმარიათ.—უეჭველია, ქართველ ტომებში იმ დროს მეჯოგობაც უნდა ყოფილიყვნელ დროიდან დარჩენილი. ამას, სხვათაშორის, ამტკიცებს მთვარის თაყვანის ცემა, რომელიც იმ დროს ქართველების ეროვნული სარწმუნოება ყოფილა: ლამის მნათობთა თაყვანისცემა კი უმაავრესათ მეჯოგე ხალხის დამახასიათებელი ჩვეულებაა. მთვარის სახელობაზე ქალდუსა და შუამდინარეში ირგან იყო აგებული ტაძარი: ერთი ქალაქ ურში (ქალდუში), მეორე—მიტანების დედა-ქალაქს ხარჩანში. მთვარე იმ დროის ქართველებს უმთავრეს ღმერთად მიაჩნდათ და, როგორც მამა-კაც-ლმერის, ისე უკექროდენ.

კითხვები გასახორებლად. სად იყო ქართველების პირვანდელი სამშობლო? როგორ წარმოდგა სიტყვა «ქართველი»? როგორ აღწერენ ძეველი მწერლები ქალდუს ქვეყნის ნაყოფიერებას? დაახლოვებით როდის უცხოვრიათ ქართველებს ამ ქვეყანაში? მერე სად გადმოსახლებულან? ვის დაუბერია მათი ადგილი?

რომელი ქართველი ტომი გაძლიერდა შუამდინარეში? მოიყვანეთ ამის მაგალითი მე-15 საუკუნიდან. სად იყო მიტანების დედა-ქალაქი? რომელ საუკუნეში დაეცა ეს სამეფო? ვინ დაიჭირა მიტანების მიწა-წყალი შუამდინარეში?

რა ხელობას მისდევდნ ქართველები ქალდუსა და შუამდინარეში? როგორი იყო მათი სარწმუნოება? რომელ ქალაქებში იყო ტაძრები მთვარის სახელობაზე?

III.

დასავლეთის ქართველები მე-14—8 საუკუნეში ქ. წნ.

მას შემდეგ, რაც ქართველები იძულებული გახდენ შუამდინარე სამუდამოთ დაეტოვებიათ, იგინი ორ ნაწილად გაიკვენ: ერთი ნაწილი ეფრატის დასავლეთით გადასახლდა და

იქ ჩამოდენიმე სახელმწიფო დაირსა; მეორე ნაწილში უკავებული რის სათავეებისაკენ წამოვიდა და ვანის ტბისა და არარატის მთის მიღამოებში დაბინავდა. პირველთ წევნ დასაცლეთის ქართველებს ვუწოდებთ, მეორეთ—აღმოსავლეთისას.

დასავლეთის ქართველთა შორის ისტორიაში ყველაზე მეტათ შემდეგმა ტომებმა ისახელეს თავი: 1) ხეთებშა, 2) მუს-კებმა ანუ მესეხებმა, 3) ტაბალებმა ანუ თუბალებმა და 4) კახებმა ანუ კოლხებმა.

1. ხეთები. ხეთები პირველი ქართველი ტომია, რომელსაც ეფრატის მარჯვენა ნაპირები და კაპადოკია დაუსახლებია. ძველი კაპადოკია უმთავრესათ მდ. ღალისის აუზებში მდებარეობს. იგი დაღარულია ღრმა და ვიწრო ხევებით. წვიმები იქ ხშირი იყის, რის გამო ჰაერი ნოტიოა; სამაგიეროთ ეს მხარე მდიდარია მცენარეულობით. მისი ნიადაგი თანაბრათ გამოსადევია, როგორც მიწის მუშაობისა, ისე მეჯოგობისათვის. მარტო კაბადოკის შუაგული წარმოადგენს უწყლო ქვეყანას. ამის გამო აქ ზაფხული მეტად ცხელი იყის, ხოლო ზამთარი ძლიერ იყი. სწორეთ ამიტომ, როცა ქართველი ტომები კაპადოკისკენ გადმოსახლდენ, მათ უმთავრესათ კაპადოკიის განაპირა აღილები დაიკირეს და არა მისი შუაგული, სახელ-ობრ: ყველანი ღალიზისა და ეფრატის ზემო წელს შუა დაბინავდენ. ამ ტომთა შორის ხეთები ყველაზე უფრო სამხრეთით ცხოვრობდენ სანამ შუა-მდინარეში მიტანების სახელმწიფოარსებობად, ხეთები, ნათესაობის მიუხედავათ, ხშირათ თავი ესხმოდენ მათს მხარეს უა მით ხელს უწყობდენ მიტანების დასუსტებას. რა თქმა უნდა, მიტანებიც ვალში არა რჩებოდენ და სამაგიეროს უხდიდენ, რის-გამოც ხეთები მე-14 საუკუნემდე მოკლებული იყვნენ ძალისა და მნიშვნელობას. მათ თავი ძიოლოდ მას შემდეგ იჩინეს, როცა შუა მდინარეში მიტანების სახელმწიფო დაეცა. ერთ სახელმწიფოდ ხეთების შეერთება მე-15 საუკუნეში დაიწყო. მაკრამ განსაკუთრებულ ძლიერებას ამ სახელმწიფომ მე-14 საუკუნის დამლევსა და მე-13 საუკუნის პირველ ნახევარში მიაღწია. ამ ღრის ხეთების სამფლობელო ჩრდილოეთით თითქმის შავ ზღვამდე აღწევდა, სამხრეთით ხმელ-



თა-შუა ზღვამდე, დასავლეთით მდინარე ღალისამდე, ხოლო ჩრდილოეთით მოსავლეთით ეფრატამდე. სატახტო ქალაქად კარხებიში ითვლებოდა, რომელიც ეფრატის მარჯვენა ნაპირს მდებარეობდა. ამ პერიოდში ხეთების ძლიერება უმაღლეს ხარისხზე იყო ასული: მათი „დიდი მთავრები“ ერთხანათ ძლიერს მეტოქობას უწევდენ ეგვიპტის ფარაონებს; ხოლო მათი კულტურა თანაბრაო განსხვავდებოდა როგორც ეგვიპტურის, ისე ასურულ-ბაბილონურის კულტურისაგან. ხეთებს ჰქონდათ საკუთარი ხატოვანი მწერლობა (რებუსების მსგავსათ), რომელიც დიდათ განსხვავდებოდა ეგვიპტურის იეროგლიფებისაგან. ამ ხატოვანი მწერლობის რამდენსამე ნიმუშს ჩვენს დრომდიც მოუწევია, მაგრამ, სამწერხოთ, მეცნიერებს ჯერ კიდევ წაკითხულია არა აქვთ. ხეთები გარეგნობითაც გირჩეოდენ ეგვიპტელებისა და ასურ-ბაბილონელებისაგან: თავზე ნაწნავს ორი ეგვიპტელები, ხოლო ფეხებზე გრძელ-წვეტიანი წალები ეცვათ.

ხეთების შესახებ ყველაზე მეტს ეგვიპტური წყაროები მოგვითხრობს. ახლათ გაძლიერებულ ხეთებს იარაღი პირველათ სმხრეთისკენ მიუმართავსთ. პალესტინის ჩრდილო პროვინციებში ივინი შეტაკებიან ეგვიპტის ფარაონს სეთოს I-ელს (1327—1317 წ.). ამ დროს ხეთების მთავრად მაუტენერი ყოფალია.—როცა მაუტენერი გარდაცვლილა, ხეთის გამგეობა მის ქას ხეთასარს დარჩენია. ამ დროს ეგვიპტის ტახტს სეთოსის შეილი რამსეს მე-II განავებდა (1317—1250 წ. ქ. წინათ). ამასა და ხეთასარს შორის 1296 წლის მახლობლათ მოხდა მშვიდობიანი მორიგება და დაიწერა ხელშეკრულობა, რომლის ეგვიპტურ თარგმანს ჩვენს დრომდე მოუწევია. აი მისი დასაწყისი: „ეს ხელშეკრულობა დაუწერა ხეთის დიდმა მთავარმა, ძლიერმა ხეთასარმა, ხეთების დიდი მთავრის მარსარის ძემ და საფალულის ძის ძემ, ვერცხლის ფიცარზე ეგვიპტის დიდ მბრძანებელს, ძლიერს რამსესს, სეთოსის ძეს და რამსესის ძის ძეს, მშვენიერი სამშვიდობო და საკიფირო ხელშეკრულობა საუკუნოდ“. შემდეგ ჩამოთვლილია ხელშეკრულობის პირობები, რომლის ძალითაც ორივე სახელმწიფო ვალიდებული ხდებოდა საზოგადო მტერთან ერთათ ეომნა, ერ-

თო-მეორის ძველ საზღვრებს არ შეხებოდა და ერთგული მონაცემი ჰქონდა თავის სახელმწიფოში არ შეეშვა. ამ ხელშეკრულობით ხეთსა და ეგვიპტეს შორის ხანგრძლივი ზავი დამყარდა. ხეთასარი რამსესს ეგვიპტეში ეწვია, სადაც დიდი პატივით მიიღეს; ხოლო რამსესმა, კავშირის განსამტკიცებლად, ხეთასარის ქალი შეირთო.

როგორც დავინახეთ, ხეთების ძლიერება უმთავრესათ მე-13 საუკუნის პირველ ნახევარს ეკუთვნის. ამას შემდეგ იგინი თან-დათან სუსტდებიან და მათ ნაცვლათ სხვა ქართველი ტო-მები ძლიერდებიან, სახელოობრ: მუსკები ანუ მესხები და კასკები ანუ კოლხები.

2. მუსკები ანუ მესხები. მუსკებს მსოფლიო ისტორია პირველათ მე-12 საუკუნეში იხსენიებს. ამ დროს მათ ეჭირათ ეფრატის დასავლეთით მდებარე აღგილები ლალიზამდე, დაახლოებით იმ აღგილის პირდაპირ, სადაც ეფრატის ორი სა-თავე ტოტი ერთდება და თვით ეფრატი პირდაპირ სამხრე-თისკენ იწყებს დენას (ნახეთ ქართაზე). მესხები ამ დროს ფრიად ძლიერი, მდიდარი და საქმაოთ განათლებულნი იყვენ. მათი სამფლობელო რამდენსამე სამეფოდ იყო დაყოფილი და ქალაქებით მოფენილი. მუსკების უმთავრესი ხელობა მაც-ნეულის (განსაკურრებით თითბრის) დამუშავება იყო; ამასთა-ნავე იკოდენ მსხვილ და წვრილ-ფეხი საქონლის მოშენება და ლვინის დაყენება. მე-12 საუკუნის შეორე ნახევარში შე-სხები იმდენათ ძლიერნი იყვენ, რომ ასურეთსაც კი ლირსე-ულ მეტოქობას უწევდენ. 1150 წლის მახლობლით მათ ასუ-რეთის ორი მოხარე ქვეყანა დაიპყრეს (ალძი და პურუუ-კუპი); ხოლო 1100 წლის მახლობლით, როცა ასურეთში ტიგლატ-პილესარ I-ელი გამეფდა, მესხების ხუთი მეტე 20,000 მესხით ასურეთის მესამე მოხარე ქვეყანას (კუმშები) შეესია და დაიპყრო იგი. მაგრამ ეს გამარჯვება მესხებისთვის უკანას-კნელი გამარჯვება იყო: ასურეთის მეფემ მსწრაფლ შეპყარა დიდაღილი ლაშქარი, შემოვიდა კუმშების ქვეყანაში, სასტიკათ დაამარცხა მესხები და 6000 ჯარისკაცი ტყვედ წაიყვანა.

3. კასკები ანუ კოლხები. მესხებთან ერთად, 1100 წ.,



ტიგლატ-პილესარ I-ელმა მეორე ქართველი ტომიც შედარձა სახელმწიფო ტიგლატ-პილესარის უძველესი სახელი. სახელი კასკები ანუ კოლხები. კასკები მუსკების ჩრდილოეთით ცხოვრობდენ, ეფრატის დასავლეთით დალიზის სათავემდე. მესხებთან ერთათ, ასურეთს იგინიც ძლიერს მეტოქობას უწევდენ; მაგრამ 1100 წელს ტიგლატ-პილესარმა მათი ძლიერებაც დაამხო: 4000 კასკი დაატყვევა და ასურეთში გადაასახლა. ამას შემდეგ მესხები და კოლხები თანდათან დასუსტდენ და მე-9 საუკუნის პირველ ნახევარში უკვე ასურეთის მოხარკედ ითვლებოდენ (აშურ-ნასირ-აბალის ტროს 885—860 წწ. ქრ. წინ). ამათ შემდეგ ჯერი მიღვა მეოთხე ქართველ ტომზე—ტაბალზე ანუ თუბალზე.

4. ტაბალი ანუ თუბალი. ეს ქართველი ტომი მსოფლიო ისტორიაში სხვა და სხვა სახელით არის ცნობილი: ზოგი მას ტაბალს ეძნოდა, ზოგი—თობალს ან თუბალს; უფრო კვიან ტიბარი ან თიბერი უწოდეს; საიდანაც წარმოდგა ბოლო დროს სახელები: პიბერი ანუ იბერი და სხვანი. რაზედაც ქვემოთ, თავის ალაგას გვექნება საუბარი. მე-9 საუკუნეში ქრ. წინ ტაბალი მუსკების სამხრეთით ცხოვრობდენ, ეფრატისა და ლალისის შუა. მათი ქვეყანა 24 წვრილ სამეფოდ იყო გაყოფილი. ოთვა შტერი შემოესოდა, ეს სამეფოები ერთათ იბრძოდენ. ტაბალების ქვეყანა გთიანი აღგილი იყო. მესხებივით, იგინიც მაღნეულის დამუშავებას მისდევდნენ: თუბალური რეინა და სპილენძი უცხოეთშიაც კი გაჰქინდათ გასაყიდად, მაგალითად ფინიკიაში (ქალაქ ტვირში) და სხვაგან. ამას გარდა ტაბალები მეჯოგობითაც იყვენ ცნობილი: მათი ქვეყნის მაღალტანიანი, კარგი ჯიშის ცხენები მეზობელ ქვეყნებში განთქმული იყვენ.

837 წელს ტაბალის ქვეყანას ასურეთის მეფე სალმანა-სარ მე-II შემოესია და ტაბალელმა მეფეებმა იგი დიდი საჩუქრით მოიშორეს თავიდან; მაგრამ 833 წელს მაინც იძულებული გახდენ, ასურეთის მეფისთვის ხარკი მიერთმიათ, ამას შემდეგ ტაბალები დრო-გამოშვებით ასურეთს ხარკს აძლევდენ, თუმცა ხანდახან მათი ბატონობისაგან თავს ითავისულებდენ ხოლმე. მაგალითად, მე-8 საუკუნის უკანასკნელ შე-

ოთხედში, როცა ასურეთს სარგონი განაგებდა (722-ითმავალი წ. წინ), ტაბალებმა თავი გაითავისუფლეს; მათ მესხებმაც მხარი მისცეს; მაგრამ სარგონმა ორივე დაამარცხა, ტაბალების ერთ-ერთი მეფე კიაკი ტუვედ წაიყვანა (718 წელს), ხოლო მესხებს ხარკი მოუმარცა. ამასთან ერთათ ორსავე მხარეში სარგონმა თავისი მოადგილენი და ხარკის ამკრეფი მოხელეები დაადგინა. მართალია, იგი ხალხის შინაურ საქმეებში არ ეროდა, ფრთხილათ იქცეოდა და განსაკუთრებით ცდილობდა, ტაბალების გული მოეგო, — ერთ ტაბალელ მეფეს ამბარისს ავავისი ქალიც კი მიათხოვა და მზითვად მთელი კილიკია მისცა, — მაგრამ მაინც მიზანს ვერ მიაღწია: ტაბალების ერთგულობა ვერ დაიმსახურა. ამბარისი საიდუმლოთ გაეზრახა ურართუს მეფეს რუსას (ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი): ასურეთის მეფის წინააღმდეგ ვიბრძოლოთ და წართმეული მიწები დავიბრუნოთ. ეს რომ სარგონმა შეიტყო, ჯერ ურართუს მეფე რუსა დაამარცხა (714 წ.), ხოლო 709 წელს ამბარისი და ტაბალელი დიდებულები დაატყვევა და თან წაიყვანა, მათი შამულები კი თავის ერთგულ სურელებს დაურიგა. ამას შემდეგ მესხებისა და ტაბალების მდგომარეობა სასიკეთოდ აღარ გამოძრუნებულა.

კითხვები გასამიზრდად. რამდენ ნაწილად გაიყვენ ქართველები შუაშინარიდან გამოსვლის შემდეგ? რომელ ქვეყნებში დასაპარდენ იგინი? სად ცხოვრობდენ ხე თები? რომელ საუკუნეში იჩინეს მათ თავი? სად ჰქონდათ სარახტო ქალაქი? როგორი მწერლობა ჰქონდათ ხეთებს? რა ვიცით მათი გარევნობის შესახებ? რით არიან ცნობილი ხეთების მთავრები: მაურენერი და ხეთასარი? რა საბუთმა მოაწია ჩვენამდე ხეთასარის დროიდან? როგორ ეპყრობოდა ხეთესარს უვიკრის მეფე რამსეს მე-II?

სად ცხოვრობდენ მუსკები ანუ მესხები? რომელ საუკუნეში იჩინეს თავი? რა ხელობას ისლევდენ? ასწერეთ მათი ბრძოლა ასურეთან (1150 და 1100 წელს).

კასკები ანუ კოლხები სად ცხოვრობდენ? რა ბეჭი ეწიათ მათ და მესხებს მე-9 საუკუნეში?

რა და რა სახელებით არიან ცნობილი ტაბალები? სად ჰქონდათ ბინადრობა? რამდენ სამეფოდ იყვენ გაყოფილი? რა ხელობით იყვენ განთქმული? ასწერეთ მათი ბრძოლა ასურეთთან მე-7 და მე-8 საუ-



უნეში ქ. წინ. როდის დაეცა საბოლოოთ მათი და მესზებს მწიფო?

ახლა ჩამოთვალეთ საერთოთ დასავლეთის ქართველი ტომები, რომელთაც თავი იჩინეს მე-14—8 საუკუნეში, ქ. წინ. უჩვენეთ ქართუაზე მათი მიწა-წყალი და ქალაქები.

IV აღმოსავლეთის ქართველები მე-11—7 საუკუნეში ქ. წინ.

როგორც ზემოთ შევნიშნეთ, შუამდინარიდან გამოსული ქართველების ერთი ნაწილი ტიგრის სათვეებისკენ გამოემართა და ვანის ტბისა და არარატის არე-შარე დაიკირა. რადგან მათი ქვეყანა ეფრატის აღმოსავლეთით მდებარეობდა, ამიტომ, დასავლეთის ქართველთაგან გასარჩევად, მათ ჩვენ აღმოსავლეთის ქართველებს დავარქმევთ.

თავის ახალ სამშობლოში აღმოსავლეთის ქართველებმა ორი ძლიერი სახელმწიფო დაირჩეს: ნაირი და ურართუ, რომელნიც ერთმანეთისაგან ვანის ტბით იყვენ გაყოფილი. ნაირის სახელმწიფო ვანის ტბის სამხრეთით მდებარეობდა, ურართუსი კი — იმავე ტბის ჩრდილოეთით.

1. ნაირ. ეს სახელმწიფო მრავალ საზოგროთა კავშირს წარმოადგენდა. მისი საზღვრები იყო: ჩრდილოეთით ვანის ტბა, აღმოსავლეთით ურმიის ტბა, სამხრეთით და დასავლეთით — მდ. ტიგრი. მსოფლიო ისტორიაში ნაირის ქვეყანა პირველათ მე-11 საუკუნის დამდევს იხსენება, როცა მას ასურეთის მეფე ტიგლატ-პილესარ I-ელი შეესია. სწორეთ იმავე 1100 წელს, როცა ამ მეფემ მესხები და კოლხები დაამარცხა, მან დაიპყრო ნაირის ქვეყანაც და ტიგრის სათვეში თავისი ძეგლი ამართა ლურსმული წარწერით, რომელმაც ჩვენს დრომდე მოაწია. ამგვარივე შემოსევა ასურეთის მეფეებმა განსაკუთრებით მე-9 საუკუნეში გააზრირეს: ტიგლატ-პილესარ I-ელის შეგავსათ მოიქცეო ასურ-ნაზირ-აბალ II (885—860 წ.) და სალმანასარ II (860—825 წ.), რომელთაც იმავე ადგილებში ამოაჭრევინეს წარწერანი თავის სახელობაზე. შეგრამ ამ დროს ნაირის ჩრდილოეთით იწყო გაძლიერება აღმოსავლეთის ქართველთა მეორე სახელმწიფო — ურართუმ, რო-

დ რ ი ც ე ბ

1910 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორითაც მდგომარე წელს გამოდიოდა. მომავალ წელს გაზეთი გაუმჯობესებული იქნება შინაარსით.

უფრო დღიურ გამოცემას გარდა 1910 წელს გაზეთს ექვება

სურათებიანი დამატება.

დამატება გამოვა კვირაში ერთხელ—კვირაობით.

გაზეთის ფასი დამატებიანა: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—5 მან.

10 კაპ., ერთი თვით—1 მან.

ცალკე წომერი უგელგან ერთი შაური. დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპერი

ვინც 15 იანვრამდე გაზეთს გამოიწერს და სამ შანეთს შემოიტანს, იმას მიეცემა კედლის თვიური პატარა

დალენდალი 1910 ფლისა

ხელის-მოწერა ჭერ-ჭერობით შიიღება შხოდოდ ტფილიში:

„დროების“ კანტორაში—დიდი ვანქის ქუჩა, № 12; წერა-კითხვის სახო-გადაების წიგნის მაღაზიაში შ. ქუჩუკაშვილთან—სასხლის ქუჩა, თავდასწავლასლა; ნაძალადებში მეპურე მელიტონ ლოლობერიძესთან—მაგისტრალი ქუჩჩე, გრიბოედ ჩარკვანის სახლში; რეინის გზის მთავარ სიხელოსნოში უანო ჭავჭავაძესთან—ტოკარნი ცეხი.

ხელის მომზადება საზურადლებლე

კანტორა უმორნილესად სთხოვს ახალ ხელის მომწერთ, თუ ვინიცობაა ვერ მოახერხებენ ფულის კანტორაში შეტანას, დატარებლებს გადასცენ იგი მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს უკანასკნელნი კვიტანციას წარუდგენენ.

ხელის-მოწერა რედაქციის კანტორაში შეიძლება: დილით 8-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: თიფლის, რედაქცია „დროება“ И. С. АГЛАДЗЕ.

ХЕХОЛЮ
საქმაწვილო ნახატების ჟურნალი
ოცდა პირველი
ტელიცელი.

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლ.
 გამოვა ოვეში ერთხელ. ჟურნალში ორი განცოფილებაა
 პატარებისათვის და მოზრდილთათვის.

სურნალი „ჯეჯოლი“
 თბილისში ელიტება 4 გ. ქალიქ გარეთ (გაგზავნით) 5.
 ნახევარი წლით 3 გ.

ცალკე ნომერი 40 კ.

ქალიქ გარეთ მცხოვრებლებს შეუძლიანთ მიმართონ:
 ქუთაისში წიგნის მაღაზიას „იმერეთ“ს და ბათუმში 8.
 კალაბდაბების.

ფოტის აცხევი: Въ тифлисъ въ Ред. Грузинскаго дѣтскаго
 журнала „Джеджили“

რედ.—გამომცემული ას. თუმანიშვილი წერეთლისა.

Открыта подписка на 1910 годъ на газету

„ЗАКАВКАЗЬЕ“

(ГОДЪ ВТОРОЙ)

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

Съ доставкой въ Тифлисъ:	Съ пересылкой въ другіе города:
за годъ 6 р. — к.	за годъ 8 р. — к.
за полгода 309 4 д. к.	за полгода 4 р. 50 к.

Помѣсячно повсюду 75 коп. Отдѣльныѣ №—5 коп. Загра,
 вицу вдвое. За перемѣнку адреса городского на иногородній—1 р.,
 съ иногородняго на иногородній—50 коп.

Адресъ редакціи: Тифлисъ, Эриванская площадь, д Гургенова,
 общій входъ съ конторой нотаріуса Мгеброва. Редакція открыта
 отъ 9-ти до 4-хъ час. дня и отъ 7-ми до 8-ми час. вечера,
 лично редакторъ принимаетъ отъ 12—1 час. дня.

Редакторъ-Издатель Г. И. Амираджиби.